PRIVATDRUCK

Im Buchhandel nicht erhältlich

392

GEORGIEN UND DER WELTKRIEG

VON

* * *

საქართველო და მსოფლიო ომი

* * *

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

საქართველო და მსოფლიო ომი

* *
*

მიხეილ წერეთელი

საქართველო და მსოფლიო ომი

შესავალი წერილი, რედაქცია, შენიშვნები და
კომენტარები **ოთარ ჯანელიძისა**

თბილისი
2014

გერმანულიდან თარგმნეს
ნინო გეგუჩაძემ და **ლალი ციხისელმა**

გარეკანზე: მ. წერეთლის წიგნის გერმანული გამოცემის გარეკანი აკაკი პაპავას ბიბლიოთეკიდან (დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თამარ და აკაკი პაპავების კაბინეტში).

© გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი (თარგმანი)

კომპიუტერული მომსახურება: **ლევან შავლაყაძე**
დაიბეჭდა შპს „პეტიტის" სტამბაში

ISBN 978-9941-0-6607-8

მიხაკო წერეთელი, საქართველო და პირველი მსოფლიო ომი

მიხაკო წერეთელთან პირველი ,,შეხვედრა" ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს მომიწია, როდესაც ვმუშაობდი საკვალიფიკაციო თემაზე „უკრაინის უნივერსიტეტების ქართველი სტუდენტობა 1900-1917 წლებში". 1982 წელს სტატიაც გამოვაქვეყნე სათაურით: „183 სტუდენტის ჯარისკაცად გაგზავნის ისტორიიდან"[1], რომელშიც ცნობილი ქართველი ემიგრანტი მოღვაწისა და მეცნიერის გვარიც ფიგურირებდა. იმ დროს მიხაკო წერეთლის სახელს ტაბუ ედო, მაგრამ საბჭოთა ცენზურას ჩემი წერილი არ დაუბლოკავს. სავარაუდოდ იმიტომ, რომ მასში „მ. წერეთელი" ეწერა და არა მიხაკო წერეთელი, „მ. წერეთელი" კი სხვაც შეიძლებოდა ყოფილიყო. ან კიდევ, რაც უფრო სარწმუნოა, პუბლიკაციის სათაური ზუსტად იმეორებდა 1901 წელს გაზეთ „ისკრაში" დაბეჭდილ ვ. ლენინის სტატიის დასახელებას, რის გამოც შეიძლება

1. ჟურნ. ,,ისტორია და გეოგრაფია სკოლაში", № 2

ტექსტის შინაარსს ნაკლები ყურადღება მიაქციეს. მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი. არსებითი ის გახლავთ, რომ მიხაკო წერეთელი ჭაბუკობიდანვე ბობოქარი, დაუდგრომელი სულის ადამიანი იყო და ძალმომრეობა-უსამართლობას გაბედულად უპირისპირდებოდა.

სწორედ მიხაკო წერეთელის პროტესტანტულ განწყობას უკავშირდება ზემოთ დასახელებულ ჩემს სტატიაში აღწერილი, კიევის უნივერსიტეტის სტუდენტთა მღელვარების ფართოდ გახმაურებული ფაქტი. ჟანდარმერიის ენით, 1900 წლის დეკემბერში მომხდარი ამ „არეულობის თაოსანი" ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის კურსდამთავრებული მიხაკო წერეთელი იყო, რომელიც იმ ხანად კიევის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მეორე კურსზე სწავლობდა. „ურჩი" სტუდენტის დასჯა უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მისი კარცერში ჩასმით დააპირა, მაგრამ მიხაკო წერეთელი არ დაემორჩილა გადაწყვეტილებას და დემონსტრაციულად სტუდენტთა შეკრებას შეუერთდა. მიხაკო და ერთი უკრაინელი სტუდენტი, გვარად პოკოტილოვი, უნივერსიტეტიდან გარიცხეს. ეს არ ყოფილა მიხაკო წერეთლის „აქტიური პოლიტიკური, ანტიიმპერიული მოღვაწეობის" შედეგი. სტუდენთა საპროტესტო გამოსვლა ამ კონკრეტულ შემთხვევაში აკადემიურ ნიადაგზე აზვირთდა და უნივერსიტეტის

კედლებით შემოიფარგლა. თუმცა გარიცხულთა მხარდასაჭერად გამართულ არასანქცირებულ შეკრებებს ოდნავ მოგვიანებით თითქმის ორი ასეული სტუდენტის უფრო მკაცრი დასჯა – არმიაში ჯარისკაცებად გამწესება მოჰყვა. დასჯილ ახალგაზრდებს, რომელთა შორის მრავლად იყვნენ ქართველი სტუდენტებიც, გაზეთ „ისკრადან" გამოექომაგა პროლეტარიატის ბელადი.

მეფის რუსეთში ერთი უნივერსიტეტიდან გარიცხულ სტუდენტს იმპერიის სხვა უმაღლეს სასწავლებელში აღარავინ მიიღებდა, ამიტომ მიხაკო წერეთელი საფრანგეთში გაემგზავრა და სორბონის უნივერსიტეტს მიაშურა. სამწუხაროდ, არც იქ დაასრულებინეს სწავლა. იმავე წელს ერთ ანარქისტულ დემონსტრაციში მონაწილეობისათვის არა მარტო უნივერსიტეტს ჩამოაშორეს, დააპატიმრეს კიდეც. სასამართლო პროცესზე მისი დამცველები იყვნენ შემდეგში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი არისტიდ ბრიანი, რომელიც იმხანად ადვოკატობის პარალელურად ერთ ანარქისტულ ჟურნალთანაც თანამშრომლობდა და მომავალი ფრანგი სენატორი დე-მონზი.[1] მიხაკო წერეთელი პარიზიდან გა-

1. ჟურნ. „ჩვენი დროშა", პარიზი, 1965, № 42, გვ. 5-6

ასახლეს. უფრო მეტი თავისუფლება შვეიცარიაში იგრძნობოდა და მ. წერეთელმაც ჟენევაში გადაინაცვლა, თუმცა მანამდე მოასწრო ნისლიან ალბიონსაც წვეოდა. გარკვეული დრო ლონდონშიც დაჰყო, სადაც თანამემამულე ვარლამ ჩერქეზიშვილს გაეცნო და დაუახლოვდა. ჟენევაში მიხაკო ფრანგულ და გერმანულ ენებს დაეუფლა და აქაურ უნივერსიტეტში სწავლასთან ერთად პოლიტიკაშიც გატაცებით ჩაება.

ცნობილია, რომ მან „თერგელის" ფსევდონიმით მონაწილეობა მიიღო ქართული პოლიტიკური მიმდინარეობების წარმომადგენელთა კონფერენციაში, რომელიც 1904 წლის გაზაფხულზე ჟენევაში გაიმართა. გარდა იმისა, რომ კონფერენციის მდივნად აირჩიეს, მ. წერეთელმა ერთ-ერთ სხდომაზე ვრცელი მოხსენებაც წაიკითხა და ევროპის სოციალისტური მოძრაობა ანარქისტული პოზიციებიდან წარმოაჩინა.[1]

ჟენევის კონფერენციაზე საფუძველი ჩაეყარა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას, რომელმაც თავის რიგებში ფედერალისტების გვერდით ანარქისტები, ესერები და ეროვნულ-დემოკრატებიც გააერთიანა. 1907 წლამდე ანარქისტები ორგანიზაციულად ამ პარტიაში რჩებოდნენ.

1. დ. შველიძე, XX საუკუნის დასაწყისის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიიდან, „ქართული ემიგრაცია", კრებული I, თბ., 2010, გვ. 7

მიხაკო წერეთელი საქართველოში 1905 წლის ბოლოს დაბრუნდა. საკაცობრიო თავისულების იდეით გატაცებული მომავალი მეცნიერი აქტიური წევრი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი ხდება თბილისში აღმოცენებული ანარქისტული ჯგუფისა, რომელშიც ვარლამ ჩერქეზიშვილი, კომანდო და შალვა გოგელიები იყვნენ გაერთიანებული. მათი ძალისხმევით დაფუძნდა ანარქისტული პერიოდული გამოცემები „ნობათი" (ყოველკვირეული პოლიტიკური გაზეთი, გამოდიოდა 1906 წლის მარტ-ივნისში. რედაქტორი – მწერალი ქალი დომინიკა ერისთავი-მდივნისა („განდეგილი") და „მუშა" (ყოველდღიური გაზეთი, ისტამბებოდა იმავე წლის ივნის-აგვისტოში, რედაქტორი მიხეილ დიასამიძე). ქართული ანარქისტული პრესის ორგანოები იყო აგრეთვე გაზეთები „ხმა" და „ძალა" (გამოდიოდა ქუთაისში).

60 წლის ვარლამ ჩერქეზიშვილი იმ დროს საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის თვალსაჩინო ლიდერი იყო, რომელსაც ქართველი საზოგადოება „ივერიასა" და „ცნობის ფურცელში" გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი პუბლიკაციებით იცნობდა, მასზე თითქმის ორჯერ უმცროსი მიხაკო წერეთელი კი ის-ის იყო გამოჩნდა ფართო სამოღვაწეო ასპარეზზე.

არსებული ტრადიციის თუ კონსპირაციული მოსაზრების გამო მაშინ პერიოდულ პრესაში სტატიები ხელმოუწერლად ან კიდევ ფსევდონიმებით იბეჭდებოდა. მიხაკო ნერეთელიც ფსევდონიმებით წერდა, მათ შორის უფრო ცნობილია „ალაროდიელი", „სანგალა" და „BÂTON". „ალაროდი" ხეთურ და ურარტულ სამყაროს უკავშირდება. მკვლევართა აზრით, იგი სახეცვლილი ურარტუა.[1] შესაბამისად, „ალაროდიელი" ურარტელის აღმნიშვნელი უნდა იყოს. რას ნიშნავდა „სანგალა", აუხსნელია, ხოლო „BÂTON" ფრანგული სიტყვაა და ჯოხს, კვერთხს, კეტს შეესაბამება. აკაკი ბაქრაძის სიტყვით, ამ ფსევდონიმის „ავტორი ალბათ გულისხმობდა, რომ მოპაექრეებს ჯოხით უმასპინძლდებოდა".

ათასგვარი ანარქიზმისაგან განსხვავებით, ქართველ ანარქისტებს ერთი თავისებურება ახასიათებდათ. ისინი ილაშქრებდნენ სახელმწიფოსა და ადამიანური თავისუფლების შემზღუდველი ყოველგვარი სისტემის წინააღმდეგ და იმავდროულად იბრძოდნენ საკუთარი სამშობლოს ავტონომიისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის. ნიშანდობლივი იყო ისიც, რომ ქართველი ანარქისტები საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის საფუძვლად ერის ისტორიულ უფლებას მიიჩნევდნენ.

1. http://www.sabc.ge/index.php?lang=geo&id=126

ამის მკაფიო მოწმობაა 1907 წელს ჰააგაში გაგზავნილი „საქართველოს ხალხის მემორანდუმი", რომელიც ვარლამ ჩერქეზიშვილმა, მიხაკო წერეთელმა და გიორგი გვაზავამ შეადგინეს და ჰააგის სამშვიდობო კონფერენციის მონაწილეებს წარუდგინეს. ეს იყო პეტიცია, რომელიც მსოფლიო სახელმწიფოთა მესვეურებს აცნობდა საქართველოს უფლებრივ სტატუსს რუსეთის იმპერიაში, აღუწერდა იმ დევნა-შევიწროებას, რასაც ქართველი ხალხი განიცდიდა და დასძენდა: „თქვენი თანაგრძნობა დაგვეხმარება, რომ ჩვენი უფლებები აღდგენილ იქნან 1783 წლის ტრაქტატის თანახმად, რომელიც გარანტიას იძლევა ჩვენი ტერიტორიის მთლიანობისა და ეროვნული ავტონომიისათვისო".[1]

მიხაკო წერეთლის ბიოგრაფიას ამშვენებს მისი ცეცხლოვანი სიტყვა, წარმოთქმული 1907 წლის 7 სექტემბერს ილია ჭავჭავაძის ცხედრის საგურამოდან თბილისში ჩამოსვენებისას. მიხაკო წერეთელმა ილიას „საქართველოს გუშაგი" და „სამშობლოს მამა" უწოდა, ხოლო მისი ვერაგული სიკვდილი საქართველოს ზნეობრივ სიკვდილად გამოაცხადა. მანვე სხვა ორატორთაგან გამორჩევით, დიდი ეროვნული სირცხვილის გაქარწყლების წი-

1. ჟურნ. „პრომეთე", 1918, № 2- 3, გვ. 91-92

ნაპირობად მთელი ერის შურისძიება დასახა იმ „უმსგავსოთა წინააღმდეგ, რომელთაც საქართველო ძაძით შემოსეს“.[1] გრიგოლ რობაქიძის ფრაზით, „მიხაკო წერეთლის ამ საპროგრამო სიტყვამ შინაგანად შეარხია მაშინ საქართველო“.[2]

ფართო საზოგადოებამ, შეიძლება ითქვას, მიხაკო წერეთელი ხსენებული სიტყვით და იმ დღეებში გაზეთ „ისარში“ გამოქვეყნებული სტატიით – „კაცია ადამიანი?!“ გაიცნო. პარადოქსია, მაგრამ ქართველთა ახალი თაობებისათვის საბჭოური რეჟიმის მიერ უსამართლოდ დავიწყებული ღირსეული წინაპრის გაცნობა ამ ამბიდან მხოლოდ რვა ათეული წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი, როდესაც მიხაკო წერეთლის სახელი კიდევ ერთხელ გამოჩნდა ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. თუმცა, უმჯობესია მივყვეთ ქრონოლოგიურად:

მიხაკო წერეთლის სიტყვით, „ილიას მოკვლამ თვალი აგვიხილა. დავინახეთ „რაშიგან ვართ“. დავირაზმეთ ერის სამსახურისათვის, მივხვდით რა, რომ სხვა უდიდესი მოვალეობა

1. „ილიას სამრეკლო“, თბ., 1987, გვ. 519-521
2. გ. რობაქიძე, მიხეილ წერეთელი, „მოგონებათა ბარდული“, ჟურნ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1948, № 3, გვ. 19

ადამიანისათვის არ არსებობს".[1] ამ ნიადაგზე 1909 წლისათვის თბილისში აღმოცენდა „სეპარატისტთა ნახევრად საიდუმლო ჯგუფი", რომელიც იაკობ გოგებაშვილს, ვაჟა-ფშაველას, პეტრე სურგულაძეს, სიმონ ყიფიანს, მიხაკო წერეთელსა და სხვ. აერთიანებდა. ჯგუფი მიზნად ისახავდა, როგორც რუსეთის მიერ დათრგუნვილი ქართველთა ღირსებისა და უფლებების დაცვას, ისე საქართველოს სრული დამოუკიდებლობის საკითხის აღძვრასა და მის პროპაგანდას. ჯგუფის ძალისხმევით იმავე წელს დაფუძნდა და გამოიცა ყოველკვირეული ჟურნალი „ერის" სახელწოდებით. ახალ გამოცემასთან თანამშრომლობდნენ ნიკო ლორთქიფანიძე, სოფრომ მგალობლიშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე), ფილიპე გოგიჩაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, გიორგი გვაზავა და სხვ.

ჟურნალმა რამდენიმე ნომერი დაუთმო მიხაკო წერეთლის ვრცელ ნაშრომს „ერის უფლება", რომელშიც განხილული და თეორიულად დასაბუთებული იყო ქართველი ერის ისტორიული უფლებები. გამოცემას მუდმივად ცენზურის მკაცრი თვალი დარაჯობდა. მიხაკო წერეთელზე ერთხანს პოლიციის საიდუმ-

1. მ. წერეთელი, „ერი და კაცობრიობა", თბილისი, 1990, გვ. 295

ლო მეთვალყურეობაც კი იყო დაწესებული[1]. გამომცემლებიც ფრთხილობდნენ, ჟურნალს მალიმალ სახელწოდებას უცვლიდნენ („ჩვენი ერი", „ქართველი ერი", „საქართველოს მოამბე") და ამ გზით პერიოდული ორგანო ერთი წლის განმავლობაში შეინარჩუნეს.

1910 წელს თბილისში გამოქვეყნდა მიხაკო წერეთლის გახმაურებული მონოგრაფია „ერი და კაცობრიობა". მიჩნეულია, რომ ეს ნაშრომი პირველი სოციოლოგიური გამოკვლევაა ქართულ სინამდვილეში და პრიორიტეტი ამ საქმეშიც მიხაკო წერეთელს ეკუთვნის. ამასთან, ცნობილი ქართველი ემიგრანტის კალისტრატე სალიას სიტყვით, მიხაკო წერეთელმა, რომელიც „კლდესავით იდგა ეროვნული აზროვნების სადარაჯოზე", ამ წიგნით „ეროვნული იდეის უარმყოფელთ უდიდესი ყუმბარა ესროლა".[2] ხსენებული წიგნის, განსაკუთრებით გიორგი გვაზავას ბროშურის „ჩეხია"-ს გამოქვეყნებამ, ასევე „ერის" თამამმა პუბლიკაციებმა ხელისუფლება შეაშფოთა. ადმინისტრაცია შეტევაზე გადავიდა და 1910 წელს ჟურნალის ირგვლივ შემოკრებილი ბირ-

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 94, ანაწ. 1, საქმ. № 652, ფურც. 369
2. კ. სალია, „პროფ. მიხეილ წერეთელი", ჟურნ. „ბედი ქართლისა", პარიზი, 1948, № 3, გვ. 3

თვი ფაქტობრივად გაანადგურა. ერთი წლით ციხეში ჩასვეს გიორგი გვაზავა, პატიმრობა მიუსაჯეს პეტრე სურგულაძესაც, თუმცა მან მოახერხა მიმალვა, უცხოეთში გაალწია და ჟენევაში „საქართველოს თავისუფლების ჯგუფი" ჩამოაყალიბა.

1910 წელს კავკასიიდან 5 წლით განდევნილ იქნა მიხაკო წერეთელიც, რომელზეც პოლიციის დეპარტამენტმა ძიება გამოაცხადა.[1] ეს უკანასკნელიც კვლავ ევროპაში გაემგზავრა და ექვთიმე თაყაიშვილის რჩევით, ასირიოლოგიის შესწავლას მიჰყო ხელი. მეცნიერება მიხაკო წერეთლისათვის ცხოვრების მეორე გზა იყო და აქ ერთგვარი „ნათლისმცემელი" ექვთიმე თაყაიშვილი გახდა.[2] მიხაკო წერეთელი ლონდონსა და ჰაიდელბერგში ეუფლებოდა აღმოსავლეთის მეცნიერებას და იქიდანვე თანამშრომლობდა ჟენევის ჯგუფთან, რომელიც ევროპაში განაგრძობდა ბრძოლას საქართველოს თავისუფლებისათვის.

1910 წლის ივნისში, ლონდონში, ჰენრი ნევინსონის თაოსნობით, გაიმართა „დაჩაგრულ და დამონებულ ერთა დამცველი კონფე-

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 94, ანაწ. 1, საქმ. № 652, ფურც. 394
2. გ. შარაძე, „უცხოეთის ცის ქვეშ", I, თბ., 1991, გვ. 316

რენცია". კონფერენციის მუშაობაში ვარლამ ჩერქეზიშვილსა და მის მეუღლესთან ერთად, გაზეთ „სახალხო გაზეთის" კორესპონდენტის სტატუსით, მონაწილობას იღებდა მიხაკო წერეთელიც.

მიხაკო წერეთელმა კონფერენციის შესახებ ვრცელი ინფორმაცია მიაწოდა „სახალხო გაზეთს". თავისი კორესპონდენტის ეს საყურადღებო მასალა გაზეთმა 1910 წლის 6 ივლისის ნომერში დაბეჭდა.

1912 წელს მიხაკო წერეთელმა დაასრულა ჰაიდელბერგის (გერმანია) უნივერსიტეტი ძველი აღმოსავლეთის ისტორიის განხრით და ორი წლის შემდეგ ამავე უნივერსიტეტში პროფესორ კარლ ბეცოლდის ხელმძღვანელობით ფილოსოფიის დოქტორის ხარისხიც მოიპოვა.[1]

ამასობაში მსოფლიო ომმაც იფეთქა, რომელმაც ძირეული ცვლილება შეიტანა ქართველ პატრიოტთა გეგმებში. საქართველოს დამოუკიდებლობის იმედი ახლა ამ ომს დაუკავშირდა.

1914 წლის შემოდგომაზე ჟენევის თავისუფლების ჯგუფი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტად გარდაიქმნა. თავმჯდომარედ პეტრე სურგულაძე აირჩიეს, თავდა-

1. მიხაკო წერეთელი. წერილები თამარ და აკაკი პაპავებს, პ. ნაცვლიშვილის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 2012, გვ. 22-23

პირველი წევრები კი ნესტორ მაღალაშვილი, ძმები გიორგი და ლეო კერესელიძეები იყვნენ.

კომიტეტმა ორიენტაცია გერმანიაზე აიღო, ჟენევიდან ბერლინში გადაინაცვლა და კავშირი გააბა კაიზერის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. გერმანიის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა მხარდაჭერა აღუთქვეს ქართულ კომიტეტს და მასთან წერილობითი შეთანხმებაც გააფორმეს. დოკუმენტი შეიცავდა დაპირებას „გერმანიის მიერ საქართველოს სუვერენობის ცნობისა, თუ გერმანია გაიმარჯვებდა და საქართველოს მიეცემოდა შესაძლებლობა დამოუკიდებლობის გამოცხადებისა".[1] გერმანელთა რჩევით, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები სტამბოლს გაემგზავრნენ ოსმალეთის მთავრობასთან ანალოგიური მოლაპარაკების მიზნით.

გერმანიის სახელისუფლო წრეებს კომიტეტისაგან დამოუკიდებლად დაუკავშირდნენ მიხაკო წერეთელი და გიორგი მაჩაბელი. გ. მაჩაბლის გეგმით, საქართველო უნდა გამხდარიყო მონარქია, ერთ-ერთი გერმანელი პრინცით სათავეში, რომელიც ქართველ ასულზე დაქორწინდებოდა და საფუძველს ჩაუყრიდა ახალ დინასტიას. მალე მაჩაბელიცა და წერე-

1. კ. სალია, დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს, ჟურნ. „ბედი ქართლისა", პარიზი, 1962, № 39-40, გვ. 17

თელიც ოსმალეთში ჩავიდნენ და დამოუკიდებლობის კომიტეტს შეუერთდნენ. მათ გარდა კომიტეტში მელიტონ ქარცივაძე, ზია ბეგ აბაშიძე და შალვა ვარდიძე გაერთიანდნენ[1].

კომიტეტის წევრები პირველივე სხდომის შემდგომ ქ. ტრაპიზონში, უკანასკნელი ქართველი გვირგვინოსნის, იმერეთის მეფე სოლომონ II-ის საფლავისაკენ გაემართნენ. გიორგი კერესელიძის სიტყვით, „მთელი კომიტეტი ვეახელით სოლომონ მეფის სამარეს, ვაწირვინეთ და მუხლმოდრეკილებმა შევფიცეთ სოლომონს, თავგანწირვით ვებრძოლოთ მტერს“.[2]

დამოუკიდებლობის კომიტეტმა გერმანიის ფინანსური და მატერიალური უზრუნველყო-

1. ამ თემაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს რამდენიმე გამოკვლევა: ა. სურგულაძე, ქართული ლეგიონი თურქეთში, ბათუმი, 1994; რ. გრძელიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი (1914-1918 წწ.), თბ., 1995; მ. სიორიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918), ბათუმი, 1998; ო. ჯანელიძე, ნარკვევები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002; ლ. ბაქრაძე, გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს (ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წწ.), თბ., 2009
2. გ. კერესელიძე, „სოლომონ მეფის ნეშტის შესახებ“, ჟურნ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1951, № 9, გვ. 29

ფით ოსმალეთში სამხედრო შენაერთი „ქართული ლეგიონი" ჩამოაყალიბა, ასევე, გერმანული წყალქვეშა ნავებით საქართველოსთან კავშირი გააბა და სამშობლოში იარალის გარკვეული პარტია შემოიტანა. აღსანიშნავია, რომ 1917 წლის ოქტომბერში წყალქვეშა ნავით U-42 საქართველოში ფარულად მიხაკო წერეთელიც ჩამოვიდა. ამჯერად იარაღთან ერთად გერმანიიდან თანხაც გამოიგზავნა. გრიგოლ ვეშაპელის მოწმობით, ეს ფული – 15 ათასი რუსული ოქროს მანეთის ღირებულებისა, საქართველოს ეროვნული საბჭოს შექმნის წინ ნოე ჟორდანიას გადაეცა.[1] გერმანული წყაროების თანახმად, თანხის ოდენობა 370 ათას მანეთს შეადგენდა.[2]

კომიტეტის საქმიანობის ერთ მნიშვნელოვან სფეროდ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდა იქცა, არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ ყველგან, სადაც ამის შესაძლებლობა და გარემოება გაჩნდებოდა. ამ კუთხით უაღრესად აქტუალური იყო წიგნების გამოცემა ევროპულ ენებზე, პუბლიკაცი-

1. გ. ვეშაპელი, „ახალი საქართველო", თბილისი, 1928, გვ. 148
2. იხ. ლ. ბაქრაძე, გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს (ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წწ.)", თბ., 2009, გვ. 229

ები უცხოურ პრესაში და სხვა. ეს საქმე მიხაკო წერეთელს ჰქონდა მინდობილი[1].

სწორედ ქართული კომიტეტის საქმიანობის ამ ფარგლებში მომზადდა და 1915 წელს გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა მიხაკო წერეთელის ნარკვევი „საქართველო და მსოფლიო ომი." იგი ორჯერ გამოიცა, ჯერ ბერლინში, ხოლო შემდეგ პოტსდამში. ხსენებული ბროშურა მადრიდში ესპანურად დაისტამბა, პარიზში – ფრანგულად, ხოლო ინგლისურენოვანი მკითხველი მას ინგლისურ ენაზე თარგმნილსა და დაბეჭდილს გაეცნო[2].

ამ წიგნის გამოცემა (თითოეულ ენაზე 10 ათასი ეგზემპლარი) ბერლინში ჩამოყალიბებულმა სპეციალურმა ორგანიზაციამ „ნახრიხტენშტელემ" („საინფორმაციო ბიურო აღმოსავლეთისათვის") უზრუნველყო. აღსანიშნავია, რომ წიგნზე აღნიშნული არ ყოფილა ავტორის ვინაობა და გვარის ნაცვლად დასმული იყო სამი ვარსკვლავი. ცნობილი ავსტრიელი მკვლევარი ვ. ბილი მიიჩნევდა, რომ ავტორი გერმანიაში მოქმედი გერმანულ-ქართული

1. კ. სალია, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს", ჟურნ. ,,ბედი ქართლისა", პარიზი, 1962, № 39-40, გვ.19
2. ო.ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 241

საზოგადოების მდივანი დავის ტრიჩი უნდა ყოფილიყო. ეს თვალსაზრისი უსაფუძვლოა, რადგან, როგორც ლაშა ბაქრაძემ დაადგინა, სამკუთხად დაწყობილი სამი ვარსკვლავით მიხაკო წერეთელი თავის ავტორობას სხვაგანაც აღნიშნავს. ამასთან, ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება ამ წიგნის ეგზემპლარი წერეთლის მიძღვნით[1].

თავის დროზე გრიგოლ რობაქიძე შენიშნავდა, რომ მიხაკო წერეთელი პოლიტიკური მებრძოლიც იყო და მეცნიერიც. მისი საგანი როგორც „კვლევაში", ისე „ბრძოლაში" ერთიდაიგივე - საქართველო იყო[2]. გიგო დიასამიძის სიტყვით კი, მიხაკო წერეთელმა თავისი პიროვნებით თანამედროვე ქართველობას სამშობლოს ტრფობისა და სამსახურის სიმბოლო შეუქმნა[3]. ასეთი მამულიშვილური შემართების კაცსა და სამშობლოს თავისუფლებისათვის თავგადადებულ პიროვნებას, თავისი ბიოგრაფიით ჰქონდა უფლება, ელაპარაკა

1. ლ. ბაქრაძე, გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს (ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წწ.)", თბ., 2009, გვ. 87
2. გ. რობაქიძე, „მიხეილ წერეთელი (მოგონებათა ბარდული), კრებული ,,გრიგოლ რობაქიძე", მიუნხენი, 1984, გვ. 135
3. ჟურნ. „ბედი ქართლისა", პარიზი, 1948, № 3, გვ. 7

ერის სახელით, მაგრამ ხსენებულ ნაშრომში მიხაკო წერეთელი მხოლოდ საკუთარ და დამოუკიდებლობის კომიტეტის შეხედულებებს გადმოსცემდა.

მიხაკო წერეთელს მტკიცედ სწამდა, რომ მიმდინარე ომში რუსეთი დამარცხდებოდა და ცენტრალური სახელმწიფოები გაიმარჯვებდნენ, ამიტომ, დღის წესრიგში ბუნებრივად დგებოდა საქართველოს და მთელი კავკასიის მომავალი ბედის საკითხი. რა ცვლილებები მოჰყვებოდა ომს და როგორ აისახებოდა იგი ამ რეგიონზე? ეს არის მთავარი კითხვა, რომელზეც პასუხს შეიცავს მ. წერეთლის წინამდებარე წიგნი. პასუხი საკითხის ავტორისეულ გეოპოლიტიკურ ანალიზთან ერთად ისტორიულ ექსკურსს, რეალობაზე საფუძვლიან დაკვირვებას, თავისუფლებისათვის კავკასიის ხალხების ბრძოლის გამოცდილებას, მოწინააღმდეგე დაჯგუფებასთან სამთა კავშირის დაპირისპირების ფორმებისა და მეთოდების გააზრებას ემყარება.

მიხაკო წერეთელი ცდილობდა, დაერწმუნებინა უცხოელი მკითხველი, რომ კავკასიელ ხალხებს ძალუძთ, იცხოვრონ დამოუკიდებლად, როგორც თავის, ისე მეზობლების საკეთილდღეოდ. იგი ამგვარად ასაბუთებდა დამოუკიდებელი საქართველოსა და კავკასიის მნიშვნელობას: „კავკასიაზედ ძევს გზა, რო-

მელიც ცენტრალურ სახელმწიფოებს შეაერთებს თურქესტანთან, შეიძლება აგრეთვე... რუსეთის სამხრეთ ნაწილთან, ციმბირთან, ინდოეთთან და ჩინეთთანაც. ეკონომიკური კავშირი და პოლიტიკური მეგობრობა კავკასიასთან შეძლებას მისცემს ცენტრალურ სახელმწიფოებს ისარგებლონ არამარტო კავკასიის აუარებელი სიმდიდრით, არამედ აგრეთვე იმ შორეულ ქვეყანათა სიმდიდრითაც, საითკენაც გზა კავკასიაზედ სძევს[1]".

ნაშრომში წარმოჩენილია თავისუფალი საქართველოსა და დამოუკიდებელი კავკასიის სტრატეგიული, ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებლიანობა როგორც გერმანიის, ისე მისი ბლოკის ქვეყნებისათვის. გერმანიას თავისი მეცნიერების, ტექნიკის და კაპიტალის მეშვეობით ამ რეგიონში აღიარების უზარმაზარი ასპარეზის მოპოვება შეუძლია. ეს როგორც კავკასიელი ხალხისათვის ასევე გერმანიისათვის სასარგებლო იქნება და ამის მეშვეობით შესაძლებელი გახდება დიდი დოვლათის დაგროვება, ამასთან, ნეიტრალური კავკასია ევროპული საქონლისთვის საუკეთესო გასაღების ბაზარი გახდება, – ვკითხულობთ ნაშრომში.

„ქართველები გერმანიის მიმართ დიდი და გულწრფელი სიმპატიით არიან განწყობილნი.

1. გაზ. „საქართველო", 1918 წ., 11 ნოემბერი

მხოლოდ გერმანიას შეუძლია ქვეყნის ხსნა, რომელიც მზადაა მსხვერპლიც კი გაიღოს, ოღონდ თავისუფლება მოიპოვოს. [...] თუკი ჩვენ გერმანიის დახმარებით შევძლებთ თავისუფლების მოპოვებას, მაშინ მას ჩვენზე უკეთესი მეგობარი არ ეყოლება – ჩვენ ვიქნებით ნამდვილი მეგობრები, [...] ჩვენ გვსურს ვისწავლოთ გერმანულად აზროვნება და მუშაობა და ვიმედოვნებთ, რომ უმოკლეს პერიოდში ჩვენი მასწავლებლები იამაყებენ თავიანთი მოსწავლეებით", წერდა მ. წერეთელი.

მიხაკო წერეთელი ცალკე განიხილავს ოსმალეთთან დამოკიდებულების საკითხს და განმარტავს: თუ ოსმალეთს სურს რუსეთის განდევნა კავკასიიდან, მისთვის ქართველებთან კავშირი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს. როგორც კი ქართველები გააქტიურდებიან, თათრებიც და მთის დანარჩენი მოსახლეობაც გვერდით დაუდგება მათ.

ავტორი უყურადღებოდ არ ტოვებს პრობლემას: რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ ოსმალეთი შეეცდება კავკასიაში რუსეთის ბატონობა საკუთარი ბატონობით ჩაანაცვლოს. მ. წერეთელი ამას გამოუსწორებელ შეცდომად მიიჩნევს და დაუფარავად აცხადებს: თურქებმა რომ კავკასიის დაპყრობა მოინდომონ, მეორე დღესვე ისინი ან რუსეთის ან თვითონ კავკასიელების მიერ იქნებიან გაძევებულნი,

რომლებიც ამისთვის პირველივე შესაძლებლობას გამოიყენებენ. ავტორის სიტყვით: „თურქებმა ეს აზრი უნდა გააცნობიერონ და უმჯობესია კავკასიის ხალხებს თანადგომა გამოუცხადონ". ეს მითუფრო, რომ თუ მიმდინარე ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდება, ოსმალეთი სომხურ პროვინციებსა და მთელ მცირე აზიას დაკარგავს, სპარსეთი კი აზერბაიჯანს უნდა გამოეთხოვოს. კავკასიაში შენარჩუნდება სტატუს კვო, რასაც ადგილობრივი ქრისტიანი ხალხის გარუსება, მუსლიმების განადგურება და რუსეთის მრავაწლიანი ბატონობა მოჰყვება.

მიხაკო წერეთელი ცენტრალურ სახელმწიფოთა მესვეურებს ომში გამარჯვების შემთხვევაში კავკასიის პრობლემის ასეთ გადაწყვეტას სთავაზობს: ოსმალეთმა უნდა დათმოს ყარსისა და ერევნის გუბერნიების ნაწილი; ამიერკავკასიამ უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი; საქართველოს უნდა დაუბრუნდეს ისტორიული ტერიტორიები და გამოცხადდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ; თათრებსა და სომხებს მიენიჭოთ სამართლებრივი უფლება, ჩამოაყალიბონ სომხურ-თათრული კანტონი, ხოლო მთის მოსახლეობას მიეცეს შესაძლებლობა, ისარგებლოს ფართო დამოუკიდებლობით. „კავკასიის პრობლემის მოგვარების ერთადერთი გასაღები", მ. წერეთლის აზრით,

დამოუკიდებელი და ნეიტრალური კავკასიის სახელმწიფოს შექმნაა.

ავტორის დაკვირვებით, კავკასიის ხალხებს თავიანთი წარსული, ტრადიცია და ურთიერთპრეტენზიები არ მისცემთ უპირობო გაერთიანების საშუალებას. ამიტომ იმ პოლიტიკურმა ერთეულებმა (ასეთად კი მ. წერეთელი საქართველოს, აზერბაიჯანს, ჩრდილოეთ კავკასიის მთის მოსახლეობასა და სომხებს მიიჩნევს), რომელთაც აქვთ დამოუკიდებლობის უფლება, ჯერ ეს დამოუკიდებლობა უნდა მოიპოვონ, შეიმუშაონ საკუთარი კონსტიტუცია და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყონ ფიქრი კავშირის შექმნაზე.

ნაშრომისათვის მიხაკო წერეთელს დაურთავს რამდენიმე დოკუმენტური წყაროც: 1. საქართველოს ხალხის პეტიცია 1907 წლის ჰააგის სამშვიდობო კონფერენციაში მონაწილე ცივილიზებული სამყაროს წარმომადგენელი ქვეყნებისადმი; 2. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ძირითადი მუხლები; 3. რუსეთის იმპერატორ პავლე პირველსა და მეფე გიორგი მეთორმეტეს შორის 1799 წლის 23 ნოემბერს დადებული ხელშეკრულება და 4. ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორის, ერნესტ ნისსის წერილობითი პასუხი 1906 წელს ლოზანის ფედერალური სასამართლოს შეკითხვაზე სამი ქართველი ახალგაზრდის

რუსეთის იმპერიისათვის გადაცემის მართლ-ზომიერების თაობაზე (იხ. ქვემოთ).

თითოეულ ამ პირველწყაროს განსაკუთრებული დანიშნულება აქვს. მაგალითად, 1907 წელს ჰაგის სამშვიდობო კონფერენციაზე გაგზავნილი პეტიცია ავტორს ჭირდებოდა იმის საილუსტრაციოდ, რომ კონფერენციის მონაწილე არც ერთი სახელმწიფოს წარმომადგენელს, მათ შორის არც რუსეთისას, ეჭვი არ შეპარვია ამ პეტიციის კანონიერებაში. რაც შეეხება ერნესტ ნისსის პასუხს, მ. წერეთლისათვის იმჟამად არსებითი იყო საერთაშორისო სამართლის აღიარებული ამ სპეციალისტის შემდეგი დასკვნა: „რუსეთის მთავრობის ბატონობა საქართველოში გაუმართლებელია, როგორც თავისი პრინციპებით, ასევე ისტორიული წარმომავლობით. ის აღმოცენდა სიყალბეზე და საუკუნეების განმავლობაში იყენებდა თავის საშინელ და ტირანულ მეთოდებს" და რომ: „ძალადობრივი აქტები, რომლებიც ქვეყანაში ხორციელდება, არის პოლიტიკური ქმედებები, რათა ქართული საქმე გამარჯვებამდე მივიდეს".

მიხაკო წერეთლის ნაშრომმა თავისი დანიშნულება შეასრულა. მან გერმანიისა და მისი მოკავშირე სახელმწიფოთა პოლიტიკურ წრეებში ხელი შეუწყო საქართველოსადმი ინტერესის გაზრდას, ამ ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის თანაგრძნობისა და მხარდაჭერის მოპოვებას.

წიგნის ქართულად თარგმნა და გამოცემა, რომელიც გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეგიდით ხორციელდება, მისასალმებელია. ქართველ მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა უშუალოდ გაეცნოს საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის საუკუნის წინანდელ პერიპეტიებს. ეს საუკეთესო წინაპირობაა, მიუკერძოებლად შეფასდეს იმ მოღვაწეთა, და მათ შორის მიხაკო წერეთლის, ღვაწლი სამშობლოს წინაშე, ვინც ნიადაგი შეუმზადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას და 1918 წლის 26 მაისს შესაძლებელი გახადა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბება.

როგორც აღინიშნა, მიხაკო წერეთლის წიგნს ერთვოდა 4 ისტორიული დოკუმენტი. მათგან პირველი სამი ჩვენში ბევრჯერ არის გამოქვეყნებული, ამიტომ წინამდებარე ქართულ გამოცემას ვურთავთ მხოლოდ ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორის, სააპელაციო სასამართლოს წევრის ერნესტ ნისსის ანგარიშს, რომელიც ფართო მკითხველისათვის აქამდე სრულიად უცნობი იყო.

ოთარ ჯანელიძე

წინასიტყვაობა

ამ განმარტებით მივმართავ იმათ, ვინც თვლის, რომ ერის განადგურება ცალკეულ ადამიანთა მკვლელობასთან შედარებით ბევრად უფრო დიდი დანაშაულია.

მე დიდი იმედი მაქვს იმათი, ვისაც სურს და შეუძლია კიდეც, გაიგოს სამარცხვინოდ მოტყუებული და რუსული დესპოტიზმის მიერ სასტიკად დამცირებული ერის ტრაგედია. მე არ შევიზღუდები და არაფერს დავმალავ. პირიქით, ვეცდები მტერსაც და მოყვარესაც სიმართლე ვუთხრა. ჩემი ქვეყნის ისტორია ბევრ ისეთ ფაქტს ავლენს, რომლებიც ჩვენი დღევანდელი საერთო ინტერესების დამცველი მეზობლების ადრეულ პოლიტიკურ შეცდომებს ააშკარავებს. ამის გამო საქართველოს საყვედური ნამდვილად არ ეთქმის. ყველა ეს ფაქტი ისტორიულად ცნობილია და შორეულ წარსულს ეკუთვნის. ქართველმა ერმა ის დაივიწყა და დღეს ეს ყველაფერი ჩვენ ხელს არ შეგვიშლის მეგობრული ურთიერთობის შე-

ნარჩუნებასა და ოსმალეთთან თუ სპარსეთთან ერთად საერთო მიზნისკენ სწრაფვაში.

მაგრამ სამომავლოდ ჩვენ უნდა მოვახერხოთ ასეთი შეცდომების და მათი შესაძლო შედეგების სამუდამოდ თავიდან აცილება. ჩვენი თურქი და სპარსი მეგობრები, რომლებმაც იციან ეს ფაქტებიც და ისტორიული სინამდვილეც, მიხვდებიან ამით რისი თქმა გვინდა. ძველი ქართული ანდაზა ამბობს: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო".

ევროპელი მკითხველი უფრო ადვილად გამიგებს. მან იცის სიცოცხლის დაცვის ფასი. მაგრამ მაინც: საქართველო საუკუნეების მანძილზე იცავს თავს და მიუხედავად იმ საფანჯველისა, რაც მას გადაუტანია, მაინც აგრძელებს სიცოცხლეს და მზადაა თავი დაიხსნას რუსეთის მონობისგან, რომელიც მის საბოლოო განადგურებისკენაა მიმართული.

შეიძლება ჩვენი ეროვნული სიცოცხლის ფასი ვერ გაუთანაბრდეს ათენისას, მაგრამ პატარა საქართველოს ეროვნული სიცოცხლე მთელი 2000 წლის განმავლობაში ბრწყინავდა გმირული შემართებით და მომავალშიც შეძლებს დაამტკიცოს, რომ რუსეთი ვერ შეძლებს მის განადგურებას.

ბროსე, საქართველოს ისტორიის საუკეთესო მცოდნე, თბილისს ახასიათებდა როგორც გმირ თაობათა შრომის შედეგს. ჩვენ შეგვიძ-

ლია დავამატოთ: ეს ეხება არა მხოლოდ თბილისს, არამედ ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეს. ჩვენი მიწის თითოეული გოჯი გაჟღენთილია იმ ათასობით ადამიანის ცრემლითა და სისხლით, რომელთა შთამომავლები დღესაც მოთმინებით იტანენ ყველა განსაცდელს და მზად არიან, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლონ სხვისი დახმარების გარეშეც კი.

ნეტა ვინმე დაგვეხმარებოდეს! ნეტა მოგვეცემოდეს იმის ჩვენების საშუალება, რომ ჩვენს ეროვნულ არსებობას თავისი ღირებულება აქვს!

I

პრობლემები, რომლებიც მიმდინარე მსოფლიო ომმა ჩვენს წინაშე დააყენა, თურქეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ ომის გამოცხადებამ კიდევ უფრო გაართულა. ეს პრობლემები ეხება არა მარტო დიდი ევროპული საზოგადოების მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებებს, რომლებმაც ეს ომი გამოიწვიეს, არამედ სხვა დიდი თუ პატარა ერების პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებსაც ადრე ძალა არ შესწევდათ ეარსებათ სხვა დიდი ძალების მფარველობის გარეშე და არ იყვნენ იმის ღირსნი, რომ დიდი ერების ოჯახის დამოუკიდებელ და სრულუფლებიან წევრებად ჩათვლილიყვნენ. ინდუსების ურიცხვი რაოდე-

ნობა, მუსულმანური სამყარო, პოლონელები, ფინელები, უკრაინელები, ირლანდიელები, ქართველები და ა.შ. ყველანი მომავალი თავისუფლების მოლოდინში მზად არიან იბრძოლონ თავიანთი დამოუკიდებლობისათვის.

ყველა ეს ხალხი ამ ომის დასრულების შემდეგ ელის ამ პრობლემის გადაჭრას. არც კავკასია წარმოადგენს გამონაკლისს ჩაგრული ხალხების გამოღვიძების ამ ზოგად ფენომენში. კავკასიელებმა და განსაკუთრებით ქართველებმა გაიაზრეს ამ დიდი მომენტის სიდიადე. მათი გამოღვიძების ჟამი დადგა, ომი ოსმალეთსა და რუსეთს შორის ქართველ ხალხს აძლევს საშუალებას კვლავ მოითხოვოს პოლიტიკური თავისუფლება, რომელიც მან ერთი საუკუნის წინ დაკარგა. სწორედ ამ მიზნით გადაწყვიტა საქართველომ ოსმალეთისა და მისი დიდი მოკავშირეების, გერმანიისა და ავსტრიის მიერ შემოთავაზებული დახმარებით ესარგებლა და მათთან ერთად ჩაბმულიყო რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, იმ საშინელი ძალის წინააღმდეგ, რომელიც არა მარტო ძალით დამორჩილებული ერის დამონებისთვის იბრძვის, არამედ თვით რუსი ხალხისაც.

ოსმალეთი ბრძოლაში შავი ზღვის სანაპიროდან და საქართველოს საზღვრებიდან ჩაერთვება. არზრუმიდან წამოსული ოსმალეთის ჯარი საქართველოს ტერიტორიას

გვერდს ვერ აუვლის, მით უმეტეს თუ მას სურვილი ექნება საქართველოს დედაქალაქ თბილისში შეაბიჯოს. მხოლოდ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ შეუძლია თურქეთს კავკასიის დაპატრონებაზე ფიქრი. ბუნებრივია, ამ დროს საქართველოს და მთელი კავკასიის მომავლის საკითხიც დადგება. რუსეთი უკან დაიხევს ძლევამოსილი ოსმალეთის წინაშე და იძულებული გახდება ეს ტერიტორიები დატოვოს.

არა მარტო ქართველები, არამედ კავკასიის ყველა ერი მზადაა ოსმალეთთან ერთად გაილაშქროს ამ რეგიონში რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ. თუ ვინმე თვლის, რომ სომხეთი რუსეთს დაუდგება გვერდით, ეს ცოტათი გადაჭარბებულია. იმ კავკასიელ სომეხთა რაოდენობა, რომლებიც რუსულ საქმეს პირად საქმედ მიიჩნევენ, არცთუ ისე დიდია. ამავე დროს გასათვალისწინებელია სომეხი ხალხის სიბრძნეც და პატიოსნებაც. ისინი არასოდეს მისცემენ უფლებას რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფ თავიანთ შვილებს, ბარბაროსების მხარე დაიჭირონ და უღალატონ სხვა კავკასიელ ხალხებს, რომლებთან ერთადაც ცხოვრობენ და იბრძვიან ამ რეგიონის წინსვლისა და მშვიდობისათვის.

ყველა კავკასიელი ხალხი/ერი მზადაა კავკასიიდან რუსეთის განდევნის საკითხში ოსმალეთ-

თან ერთად თავისი სიტყვა თქვას. მაგრამ ის დადებითი შედეგი, რაც ამას მოყვება, მეგობრულად და გონივრულად უნდა განაწილდეს ამ ხალხებსა და თურქეთს შორის. გასათვალისწინებელია ის, რომ კავკასიაში არ არის ერი, რომელსაც მეტნაკლებად არ შეეძლოს დამოუკიდებლად ცხოვრება, ამიტომ გამოუსწორებელი შეცდომა და მომავალი დიდი უთანხმოების სათავე იქნება, თუკი ოსმალეთი შეეცდება რუსეთის ბატონობის საკუთარი ბატონობით ჩანაცვლებას და კავკასიაში თავისი პროვინციების შექმნას.

ოსმალეთის იმპერიას შეუძლია ამ დახმარების სანაცვლოდ კავკასიის ის ნაწილები მოითხოვოს, რომლებიც მას კანონით ეკუთვნის, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ამ რეგიონის მოსახლეობაც დაეთანხმება. კავკასიის იმ ხალხებს, რომლებიც დიდ ეროვნულ და ისტორიულ ერთეულებს ქმნიან, უნდა შეუნარჩუნდეთ პოლიტიკური დამოუკიდებლობის უფლება. მათ მომავალში ექნებათ შესაძლებლობა შექმნან თავისუფალი კავკასიური ფედერაცია, რომელშიც ყველა მსურველს საკუთარი ნებით შეეძლება გაწევრიანება. ეს არის კავკასიიდან რუსეთის განდევნის შემდეგ კავკასიის პრობლემის მოგვარების ერთადერთი შესაძლებლობა.

II

კავკასიი მომავალი ხვედრის განხილვის დროს აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ კავკასია ოთხი ძირითადი ჯგუფისგან შედგება. ეს ჯგუფებია: ქართველები, მთის ხალხები, თათრები და სომხები.

რუსეთის მიერ ადმინისტრაციული დანაწილების შემდეგ ქართველებით დასახლებული რეგიონებია: კავკასიის ცენტრალური და სამხრეთ-დასავლეთი რეგიონები, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, სოხუმის და ბათუმის ოლქები, ასევე ყარსისა და ზაქათალას ოლქების ნახევარი. ეს არის ისტორიული რეგიონი, რომელიც ოდითგანვე ქართველ ხალხს ეკუთვნოდა და რომელსაც ის დასაბამიდან იცავდა იარაღით ხელში.

საქართველოს მოსახლეობა დაახლოებით 3 მილიონს შეადგენს, საიდანაც 2,5 მილიონი ქრისტიანია და 300 000-დან 400 000-მდე მუსულმანი. საქართველოს პოლიტიკური ისტორია სხვა არაფერია თუ არა საკუთარი შვილების სისხლით გაჟღენთილი მიწის დაცვა. ისინი იცავდნენ იმ კულტურას, რომელიც ამ ინტელიგენტმა, მშრომელმა და ნიჭიერმა ხალხმა თავისი განვითარების მანძილზე შექმნა. პოლიტიკური დამოუკიდებლობა და თავისუფლება, ეროვნული ტრადიციებით ცხოვრება, საკუთარი რელიგიის თავისუფლად აღიარება

და საკუთარ ლიტერატურაზე, მეცნიერებასა და ხელოვნებაზე ზრუნვა, რომლებიც არანაირად ჩამოუვარდებოდა ბერძნულს, ქართველ ხალხს სულიერად აძლიერებდა უამრავი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

უხსოვარი დროიდან უწევდა კავკასიის მობინადრე ტომებს ყველა მეზობელთან მწვავე ბრძოლების წარმოება, რომლებშიც ყოველთვის გამარჯვებას აღწევდა. პომპეუსის ეპოქაში რომაელი ლეგიონერებიც კი ეწვივნენ საქართველოს. ქრისტიანობის მიღების შემდეგ საქართველო სომხეთისა და ბიზანტიის მოკავშირე გახდა სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც ბიზანტიის იმპერიისთვისაც კი დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. სპარსელები ქრისტიანული რელიგიის წინააღმდეგ იბრძოდნენ, მაგრამ საქართველოში მათ სასტიკი მარცხი იგემეს.

მე-5 საუკუნეში საქართველოს პოლიტიკურ ალმავლობას ქვეყნის გაძლიერება მოჰყვა, რის შედეგადაც მან შეძლო როგორც ბიზანტიისგან, ასევე სპარსეთისგან თავის დაღწევა. ამავე დროს შეიქმნა ეკლესია, რომლის სათავეშიც კათალიკოსი იდგა. მე-11 საუკუნიდან კანონიკური სამართლის საფუძველზე ეკლესია „ავტოკეფალიური" გახდა და საქართველოს კულტურულ განვითარებაში დიდ როლს ასრულებდა.[1]

1. ავტოკეფალია ქართულმა ეკლესიამ ვახტანგ გორგასლის ეპოქაში მოიპოვა, **რედ.**

ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად საქართველოში ქართულ ენაზე საეკლესიო ლიტერატურის შექმნა დაიწყო. მაშინდელი განათლებული ქართველისთვის არც საეკლესიო და არც ფილოსოფიური საკითხები არ იყო უცხო. ყოველივე ამან ხელი შეუწყო საქართველოში თეოლოგიური და ფილოსოფიური ლიტერატურის შექმნას. ერმა მისთვის დამახასიათებელი ფორმით დაიწყო ფიქრი და გრძნობა და ახალი რელიგიისა და კულტურის გავლენით შექმნა საკუთარი ეროვნული ფსიქოლოგია.

მხატვრობაში, ქანდაკებაში, არქიტექტურაში, საეკლესიო მუსიკასა და ლიტერატურაში ჩანდა ქართველების სოციალური სული და გონებრივი შთაგონება. ხალხის საკმაოდ მაღალი მორალური და კულტურული განვითარების საფუძველზე ხდებოდა ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური ჩამოყალიბება, რაც ხელს უწყობდა ეროვნული ორგანიზაციის შექმნას.

საქართველოს სახელმწიფო თავდაჯერებული იყო, მას გააჩნდა საკუთარი მიზნები და გეგმები და ის სულდგმულობდა დამოუკიდებლად ცხოვრების სურვილით, მას არ სურდა უცხო ქვეყნის ბატონობის ქვეშ ყოფნა და არც სხვაზე ბატონობა. ასე გახდა საქართველო ისტორიული პიროვნება, რომელიც არასოდეს

მოკვდება ბუნებრივი სიკვდილით და უკანასკ-ნელ ამოსუნთქვამდე დაიცავს თავის ინდივი-დუალურობას.

მე-11 საუკუნეში დიდი მეფის დავით II-ის (1089-1125 წწ.)[1] მეფობის დროს საქართველო ერთიანი სახელმწიფო იყო. ქრისტიანობის მი-ღების შემდეგ, როცა საქართველოს ბიზანტიისა და სპარსეთის წინააღმდეგ წარმოებული ომი ბოლომდე უნდა მიეყვანა, ის არ წარმოადგენდა ერთიან პოლიტიკურ სხეულს. მიუხედავად ამი-სა, ამ ბრძოლებიდან ის მაინც გამარჯვებული გამოვიდა. საქართველო დაიშალა დამოუკიდე-ბელ სამთავროებად. სამეფოს სათავეში ბაგრა-ტიონთა დინასტია იდგა, რომელიც წარმოშობით ტაო-კლარჯეთიდან იყო. მე-7-12 საუკუნეების განმავლობაში მათ არაბების წინააღმდეგ სასტი-კი ბრძოლების წარმოება უწევდათ, თუმცა სა-ბოლოოდ მაინც შეძლეს საქართველოს გაერთი-ანება. დავით II[2] იყო მეფე, რომელმაც 1122 წელს საბოლოოდ განდევნა არაბები თბილისიდან და ამით ქვეყნის გაერთიანებაც დაასრულა.

მისი მეფობის პერიოდში საქართველო ბა-ტონობდა კავკასიის ყველა ხალხზე. ის იყო დიდი და ძლიერი სამეფო, რომელიც მეზობელ სახელმწიფოებსაც კი აიძულებდა მისი სურ-ვილების შესრულებას. მე-12 საუკუნეში სა-

1. იგულისხმება დავით IV აღმაშენებელი, **რედ.**
2. იგულისხმება დავით IV აღმაშენებელი, **რედ.**

ქართველომ მიაღწია არა მარტო პოლიტიკურ სიძლიერეს, არამედ სულიერი და ეკონომიკური განვითარების მწვერვალს. საქართველოს დედოფლის თამარის (1184-1212 წწ.)[1] მეფობის პერიოდი საქართველოს ისტორიის ოქროს ხანად იწოდება. ამ ეპოქას ეკუთვნის დიდი ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი, რომელმაც თავის ხალხს ნამდვილი შედევრი „ვეფხისტყაოსანი" დაუტოვა. ეს არის უდიდესი პოემა, რომელსაც ქართულ ლიტერატურაში იგივე ადგილი უჭირავს, რაც „DIVINA COMMEDIA"-ს[2] იტალიურ ლიტერატურაში. ეს ნაწარმოები საქართველოს დამოუკიდებლობის საუკეთესო პერიოდს წარმოადგენს და ის ყველამ ზეპირად იცის.

სწორედ მე-11-მე-12 საუკუნეებში მანძილზე მოღვაწეობდა პოეტების, ისტორიკოსების, მემატიანეებისა და სწავლულების დიდი რაოდენობა. არქიტექტურამაც უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე იმ პერიოდის ძეგლების ნანგრევების ან სრულყოფილი სახით ნახვა დღესაც შესაძლებელია. ისინი სპეციალისტების გაოცებას იწვევენ.

---

1. თამარის გარდაცვალების თარიღი ქართულ ისტორიოგრაფიაში საბოლოოდ დაზუსტებული არ არის, **რედ.**
2. დიდი იტალიელი პოეტის დანტე ალეგიერის პოემა „ღვთაებრივი კომედია."

ქართული ეკლესიების და სასახლეების ფერწერული და სკულპტურული თავისებურებანი თანამედროვე ევროპული ქვეყნების ხელოვნების ნიმუშების მსგავსია. ადრეულ პერიოდში ხალხური სიმღერებიდან წარმოშობილი საგალობლები, რომლებიც დღემდე სრულყოფილი სახითაა შემორჩენილი, ქართული ხალხური მუსიკის საუკეთესო შედევრებს წარმოადგენს და ისეთივე თავისებური და რთულია, როგორც ქართული ენა. გაერთიანებულ და კარგად მოწყობილ სახელმწიფოს საკუთარი წერილობითი კოდექსი გააჩნდა, რომელიც ქვეყნის სხვადასხვა პროვინციათა დებულებების საფუძველზე იყო შექმნილი. ძალიან განვითარდა სოციალური კლასიფიკაციაც. რა თქმა უნდა, სოციალურ ფენებს შორის არსებობდა წინააღმდეგობანი, მაგრამ სახელმწიფო ყოველთვის ცდილობდა მათ მოგვარებას. ეს ყველაფერი ინტენსიურ სოციალურ ცხოვრებაზე მიუთითებს.

საქართველოს მდგომარეობა მე-11-მე-12 საუკუნეების განმავლობაში, სულ მცირე, იყო ისეთი, როგორიც დიდ ცივილურ, არააღმოსავლური ხასიათის მქონე სამეფოს შეეფერება. ის იყო ქრისტიანული სამეფო არა მხოლოდ რელიგიური გაგებით, არამედ ზოგადად კულტურულადაც. ამ თვალსაზრისით საქართველო უფრო მეტად ევროპულ ქვეყნებს ჰგავს, ვიდრე აღმოსავლურს.

ურდოებმა, რომლებმაც მე-13 საუკუნეში კავკასიას და ევროპას გადაუარეს, არც საქართველოს დააკლეს ხელი. ჯალალ ედ-დინის მიერ საქართველოს აოხრებიდან სულ მოკლე ხანში ქვეყანას მონღოლები შემოესივნენ, ჯალალ ედ-დინი გააძევეს[1] და ქვეყნის დამოუკიდებლობას ძალიან დიდი საფრთხე შეუქმნეს. მათ გაანადგურეს საქართველოს ეკონომიკა და სულიერი კულტურა. ამოჟლიტეს არა მარტო მაღალი წრეების წარმომადგენლები, არამედ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, რამაც ქვეყნის ეკონომიკური და მორალური განადგურება გამოიწვია. ამ დამპყრობლების ბატონობამ საქართველო, შეიძლება ითქვას, საუკუნეზე მეტი ხნით გააქრო.

მონღოლთა ურდოების ჩავლის შემდეგ ქვეყნის ცივილიზაციის დონე ძალიან დაცემული იყო. საქართველო დაყოფილი იყო მცირე პოლიტიკურ ერთეულებად, სუსტ სამთავროებად, და მხოლოდ მე-14 საუკუნეში შეძლო ქვეყანამ ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა. გიორგი მეხუთემ (1318-1346 წწ.) სცადა ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის აღდგენა, მაგრამ მას ძველი ბრწყინვალება მაინც ვერ დაუბრუნა. მე-14 საუკუნე-

1. ჯალალ ედ-დინი მონღოლების მიერ საქართველოს დაპყრობამდე, 1231 წელს მოკლეს ქურთისტანში, **რედ.**

ში თემურ ლენგის მეთაურობით მონღოლთა მეორე შემოსევა მათი მარცხით დასრულდა. მეფე ბაგრატ III-მ (1369-1395წწ.)[1] სასტიკად დაამარცხა მტერი.

მეფე ალექსანდრეს (1413-1444 წწ.)[2] მეფობის პერიოდში ქვეყანა კვლავ აგრძელებდა სამთავროებად დაშლას. იმავე პერიოდში მოიპოვეს გამარჯვება თურქებმა და სპარსელებმა და ქვეყანას დამოუკიდებლობა საბოლოოდ დააკარგვინეს. ოსმალეთი აზიაში გამოჩენისთანავე არ ასვენებდა საქართველოს, თუმცა ქვეყანა ყოველთვის ახერხებდა თავის დაცვას, განსაკუთრებით კი დავით II-ის[3] დროს იგემეს თურქებმა გადამწყვეტი მარცხი. აქამდე საქართველო იძულებული იყო მოეგერიებინა მტრის შემოტევა და ყველა ღონე ეხმარა თავის დასაცავად.

მონღოლთა შემოსევის პერიოდში ოსმალეთიც და სპარსეთიც მათი ბატონობის ქვეშ მოექცა და საქართველოს სახით მოკავშირის და დამცველის ძებნა დაიწყეს. მაგრამ მონღოლთა ურდოების გაქრობის შემდეგ, და მას შემდეგ, რაც ოსმალეთმა კონსტანტინოპოლი

1. უნდა იყოს ბაგრატ V, რომელიც მეფობდა 1360-1393 წლებში, **რედ.**
2. საქართველოს მეფე ალექსანდრე I დიდი, მეფობდა 1412-1442 წლებში, **რედ.**
3. იგულისხმება დავით IV აღმაშენებელი, **რედ.**

დაიპყრო, საქართველოს მცირე აზიაში ოსმალეთის სახით სერიოზული მტერი გაუჩნდა. რელიგიებს შორის სხვაობამ, რაც მაშინ ყველაზე დიდ როლს ასრულებდა, კიდევ უფრო გააუარესა საქართველოს მდგომარეობა. იმ პერიოდში სპარსეთიც მოძლიერდა. თუმცა მე-14 საუკუნეში, როცა საქართველო კვლავ გაერთიანდა, მტერი ველარ ახერხებდა მის დამორჩილებას. თემურ ლენგის შემოჭრამ საქართველოში და მისმა ოცწლიანმა ბატონობამ,[1] ისევე როგორც ქვეყნის სამთავროებად დაყოფამ, ოსმალეთსა და სპარსეთს მისცა საშუალება იმისა, რომ საქართველოს მისი პოლიტიკური ისტორიის დასასრულამდე ცუდად მოპყრობოდნენ.

თურქებმა და სპარსელებმა საქართველო ორ ნაწილად გაჰყვეს. აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველო სპარსელებს ერგოთ, დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი თურქებს. მე-15 საუკუნეში თურქებმა ქვეყნის შიდა და სანაპირო რეგიონების დამორჩილებაც მოახერხეს. ქრისტიანი მოსახლეობის ძალით გამაჰმადიანებაც ამ პერიოდიდან იწყება. მე-16 საუკუნიდან რწმენის ძალადობრივი გზით შეცვლა ინტენსიური გახდა, ხოლო მე-17-18 საუკუნეებში სისტემატურად ხდებოდა

1. თემურ ლენგის საქართველოში ლაშქრობების თარიღია 1386-1403 წლები, **რედ.**

სიკვდილით დასჯის, მონად გაყიდვის ან სხვა უმსგავსობების მუქარის ქვეშ რწმენის იძულებით შეცვლა.

მე-16-17 საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში სპარსელები პარპაშობდნენ. ისინი მამა-პაპის რელიგიის უარყოფას აიძულებდნენ არა მარტო დიდებულებს, არამედ თვით მეფეებსაც კი. ქართველი ხალხის განადგურებისკენ მიმართული ლაშქრობებიდან ყველაზე მეტი სისასტიკით გამოირჩეოდა სპარსეთის მეფის შაჰ აბას I-ის შემოჭრა საქართველოში. 1614 წელს ქართული ჯარის დამარცხების შემდეგ ის სასტიკად გაუსწორდა 100 000 მშვიდობიან ქართველს, 100 000-ზე მეტი კი ტყვედ წაიყვანა სპარსეთში.[1] მათი შთამომავლები დღესაც სპარსეთის შორეულ პროვინციაში, ფერეიდანში, ცხოვრობენ და დღემდე მეტყველებენ იმ ენაზე, რომელიც მათი ტყვედ წაყვანილი წინაპრების მშობლიური ენა იყო. რამდენიმე წლის შემდეგ შაჰ აბასმა მეორეჯერ ააოხრა საქართველო, და მხოლოდ ქართველი დიდი მოურავის გიორგი სააკაძის სტრატეგიული ნიჭის წყალო-

1. სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის თანახმად, მოკლულთა რიცხვი 70 ათასს სჭარბობდა, ტყვედ წაყვანილთა ოდენობა კი 130 ათასს აღემატებოდა. ამასთან, ეს ტრაგიკული მოვლენა შაჰ აბასის, მეორე, 1616 წლის ლაშქრობას უკავშირდება, **რედ.**

ბით გადაურჩა ქვეყანა სრულ განადგურებას. მან შეძლო შაჰ აბასის არმიის სასტიკად დამარცხება და ისეთი დარტყმა მიაყენა მტრის ჯარს, რომ შაჰ აბასმა ველარ შეასრულა თავისი ფიცი და ვერ გაანადგურა საქართველო.

ამავე პერიოდში ქვეყნის ჩრდილოეთ და დასავლეთ ნაწილებში თურქები დათარეშობდნენ. მათ გაანადგურეს ყველა დიდი ქრისტიანული ძეგლი, უდიდესი საკათედრო ტაძრები მთელი თავისი სიმდიდრითა და ხელოვნების არაჩვეულებრივი ნიმუშებით. ახალციხეში, ახალქალაქში, შავშეთსა და ტაო-კლარჯეთში მხოლოდ ნანგრევები მოწმობენ აქ უდიდესი წარსულისა და ცივილიზაციის არსებობას.

მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. ყველაზე ცუდი იყო ის, რომ ერი ბარბაროსობის ეპოქას დაუბრუნდა, რაც რელიგიის იძულების წესით შეცვლამ გამოიწვია. და ეს მაშინ, როცა რელიგია ერის სულიერი განვითარების ძირითად საფუძველს წარმოადგენდა და ეკლესიას ამ საქმეში დიდი წვლილის შეტანა შეეძლო. მე-8 საუკუნიდან მოყოლებული ქვეყანაში შენდებოდა დიდებული მონასტრები. ისინი არა მარტო ქართული განათლების, არამედ ბერძნული და დასავლური მეცნიერების კერებს წარმოადგენდნენ. ამ მონასტრებიდან წასული სულიერი მამები სხვადასხვა მონასტრებს აარსებდნენ არა მარტო საქართველოში, არამედ

საზღვრებს გარეთაც, იერუსალიმში, სინას მთაზე, რუმინეთში, ათონის მთაზე და ა.შ. მე-11-12 საუკუნეებში ეს მონასტრები დიდ აკადემიებს ქმნიდნენ და თვით ბიზანტიის კეისრებიც კი თავიანთი შვილებს აგზავნიდნენ იქ, რომ მათთვის ქართულ ენაზე განათლების მიღების საშუალება მიეცათ.

სწორედ ამ აკადემიებში მოღვაწეობდნენ ყველაზე დიდი თეოლოგები, წმინდა წერილის და ბერძენ ფილოსოფოსების საუკეთესო მთარგმნელები. მე-11-12 საუკუნეებში აქ მოღვაწე დიდ ქართველ მწერალთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ გიორგი მთაწმინდელი ათონის მთაზე და იოანე პეტრიწი ბულგარეთში პეტრიწონის მოანსტერში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველ ხალხზე ქრისტიანული ეკლესიის მორალური და სულიერი გავლენის საფუძველს წარმოადგენდა არა ქრისტიანული დოგმების უპირატესობა სხვა რელიგიების დოგმებთან მიმართებით, არამედ ამ ეკლესიის ეროვნული ხასიათი, რომელიც ეროვნულ ქართულ ინსტიტუციად იქცა და რომლის მნიშვნელობაც სხვა ყველაფერს აჭარბებდა. ეს არის მიზეზი, რამაც რელიგიის იძულებით შეცვლასთან ერთად თურქების მიერ დაპყრობილ ქართულ პროვინციებში ჩვენი ეკლესიის დეორგანიზაცია და გაქრობა გამოიწვია, რასაც ამ პროვინციების სრული დაღმასვლა მოჰყვა.

ყველაფერი გაქრა – ერის სულიდან წარმოქმნილი არქიტექტურა და ხელოვნება, რომელიც ბიზანტიურ და დასავლეთ-ევროპული კულტურის გავლენას განიცდიდა, ქართულ ენაზე სწავლება, იმ ენაზე, რომლის დამწერლობასაც საფუძველი ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ჩაეყარა, და ისტორია, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა მუდმივი ბრძოლა ეროვნულობისა და რელიგიის დასაცავად.

მესხეთის, შავშეთის, აჭარის მოსახლეობას ქართულ ენაზე წერის უფლება არ ჰქონდა, მათ არ შეეძლოთ ეზრუნათ იმ ენაზე, რომელსაც პეტრიწი ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შექმნის შემდეგ ასე წარმატებით იყენებდა ფილოსოფიური აზრების გამოსახატავად, რადგან ეს ენა ისეთივე ნათელი და ენერგიული იყო, როგორც ბერძნული. საქართველოს მაჰმადიანური პროვინციებისთვის დაიკარგა ენა, რომელზეც რუსთაველმა, წარმოშობით მესხმა, ქართული პოეზიის შედევრი შექმნა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაზე არც წირვა-ლოცვა იმართებოდა და ის არც ლიტერატურასა და მეცნიერებაში გამოიყენებოდა, მუსულმანი ქართველები მაინც ინარჩუნებდნენ მას, თუმცა არა როგორც მშობლიურს. ამ ენაზე ისინი მხოლოდ ოჯახში საუბრობდნენ. ენის განვითარება შეფერხდა და დღეს ამ პროვინციებში

არსებული ქართული არის არა სალიტერატურო ენა, არამედ უბრალოდ დიალექტი. ქართველი ერის დიდებული ისტორია შეწყდა მაშინ, როცა აქ ქრისტიანობამ შეწყვიტა არსებობა.

ხალხმა თითქოს დაივიწყა თავისი წარსული, მომავალი თაობა აღარ იხსენებდა მას. მათი უნიკალურობის ერთადერთი ნიშანი იყო ის, რომ მიუხედავად სხვა ენობრივი გარემოსი, ისინი მაინც ინარჩუნებდნენ საკუთარ ენას. ამაშია მათი არსებობის ტრაგიზმიც. ვინ არიან ისინი? გურჯები! რა არის მათი წარსული, საიდან არიან ისინი, რა არის მათი ისტორია? მათ ეს არ იციან, და არც აქვთ უფლება ეს იცოდნენ, თუმცაღა სულ რაღაც 3-4 საუკუნის წინ მათ საკუთარი ეროვნულობა გააჩნდათ და იმ დროიდან მოყოლებული არ შერევიან მათ დამპყრობლებს.

ცნობიერება, რომელიც ასეთი ფსიქოლოგიური მდგომარეობის შედეგად ჩამოყალიბდა, ვერ იქნებოდა ნათელი. და მართლაც, ის საკმაოდ ბნელია, თვით განათლებულ ადამიანებშიც კი. მიუხედავად იმისა, რომ მათ სამსაუკუნოვანი თავგანწირული, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები გადაიტანეს, რათა ასეთ მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყვნენ, ისინი საბოლოოდ მაინც დამარცხდნენ და ეს ბრძოლებიც დავიწყებას მიეცა.

ბარბაროსულ წარსულში დაბრუნების წინააღმდეგ დასავლეთ საქართველო თავგანწირულ ბრძოლებს აწარმოებდა მე-16 საუკუნიდან მოყოლებული მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვამდე. სწორედ ამ უიმედო მდგომარეობამ აიძულა საქართველო დახმარება ეთხოვა ევროპისთვის. საქართველო იყო ერთადერთი დამოუკიდებელი ქრისტიანული სახელმწიფო მთელ მუსულმანურ აღმოსავლეთში. ოსმალეთისა და სპარსეთის თავდასხმები განუწყვეტლივ გრძელდებოდა. თითქმის ყოველ წელს აოხრებდნენ ისინი საქართველოს ამა თუ იმ კუთხეს, მოსახლეობას ან ხოცავდნენ ან ტყვეებად ჰყიდდნენ. ჩვენმა მეზობელმა ლეკებმა, ჩერქეზებმა და მთის სხვა მუსულმანმა ხალხებმა დაიწყეს საქართველოს ძარცვა და მთელი მე-17-18 საუკუნეების განმავლობაში ქართველი გლეხი იძულებული იყო თავისი კარ-მიდამოს დასამუშავებლად ცალ ხელში თოხით და მეორეში ხმლით ნასულიყო, რათა თავი დაეცვა ლეკებისა და ჩეჩნების ყაჩაღური თავდასხმებისგან.

ქართველებს თურქები და განსაკუთრებით სპარსელები აიძულებდნენ ქალებისა და კაცების მონობაში მიცემას, რამაც მოსახლეობის დემორალიზაცია და შემცირება გამოიწვია. ზოგიერთი ქართველი კი ისე დაეცა,

რომ მიუხედავად ეკლესიისა და სახელმწიფოს მხრიდან სასტიკი აკრძალვისა, საკუთარ მეგობრებსაც კი იმეტებდა მონობისათვის. ფოთში არსებობდა ბაზარი, სადაც ქართველი ქალებისა და ბავშვების პირუტყვივით ყიდვა შეიძლებოდა.[1]

რელიგიის იძულებითი შეცვლა მთელ საქართველოს მოედო. მე-18 საუკუნეში მეფე ერეკლე მეორის გენიალობის წყალობით აღმოსავლეთ საქართველომ კვლავ დაიბრუნა ძველი სახელი და ძალაუფლება. მისმა უამრავმა ლაშქრობამ წერტილი დაუსვა სპარსეთის არმიის თარეშს საქართველოში.

მისი ხანგრძლივი მეფობის (1760-1798 წწ.)[2] პერიოდში საქართველო კვლავ აყვავდა და მოძლიერდა. პოლიტიკურმა ძლიერებამ სპარსელების, თურქებისა და მთის მოსახლეობისგან საფრთხის თავიდან აცილებამ, საფუძველი შეუქმნა ქართული მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის კვლავ აღორძინებას, და უკვე ვახტანგ VI-ის (1703-1737 წწ.)[3] მეფობის დროს ახალ სა-

1. „ტყვის სყიდვის" მთავარ ცენტრს ყულევი წარმოადგენდა, **რედ.**
2. ქართლ-კახეთში ერეკლე მეორის მეფობის წლებია 1762-1798 წ.წ., **რედ.**
3. ვახტანგ VI ქართლის ჯანიშინი იყო 1703-1712 წლებში, მეფედ დაამტკიცეს 1716 წელს, მეფობდა 1724 წლამდე, გარდაიცვალა 1737 წელს, **რედ.**

ფეხურზე ასვლას. ჩანდა, თითქოს „შავმა დრომ" (როგორც ამას ქართველები თავდასხმების პერიოდებს უწოდებდნენ), სამუდამოდ ჩაიარა. ფრიდრიხ დიდი ხშირად ამბობდა, „ევროპაში მე ვარ და აზიაში კი- მამაცი მეფე ერეკლეო."

1783 წელს ერეკლე მეფემ რუსეთის იმპერატორ ეკატერინე მეორესთან გააფორმა მეგობრობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ქართული სამეფო დინასტია და ავტონომია დაფასებული უნდა ყოფილიყო, ამის სანაცვლოდ კი საქართველო რუსეთის იმპერატორს აძლევდა ინვესტიტურის უფლებას და უარს აცხადებდა თურქებთან და სპარსელებთან დამოუკიდებლად ურთიერთობის წარმოებაზე. ამ ხელშეკრულების შედეგად საქართველო გახდა ნახევრად სუვერენული ქვეყანა. მეფე ერეკლეს არასოდეს გააჩნდა რუსეთთან ურთიერთობის სურვილი. მან ავსტრიასა და პრუსიაში ელჩები გააგზვნა დახმარების სათხოვნელად, მაგრამ ამაოდ: ამ ელჩებმა დანიშნულების ადგილამდე ვერ მიაღწიეს. გარდა ამისა, არც პრუსიას და არც ავსტრიას არ გააჩნდათ არანაირი ინტერესი საქართველოსა და კავკასიისადმი.

იმავე პერიოდში დასავლეთ საქართველოში იმერეთის მეფე სოლომონ დიდმა (1752-1782 წწ.)[1] იგივე გზა გაიარა თავისი სამეფოს გა-

1. სოლომონი მეფობდა 1784 წლამდე, **რედ.**

თავისუფლებისა და გაფართოებისთვის, რაც აღმოსავლეთ საქართველოში ერეკლე II-მ. მან ერთმანეთთან დააკავშირა მუდმივ ქიშპობაში მყოფი თავადები, შეუტია თურქებს და აიძულა ისინი, ხელი აეღოთ ქართული პროვინციების დარბევაზე. მაგრამ ერთი მხრივ სოლომონის სიკვდილმა და მეორე მხრივ მეფე ერეკლეს ასაკმა, მისი შვილების უუნარობამ და შიდა ინტრიგებმა, რომლებიც საქართველოს შიგნიდან ანადგურებდა, გადაწყვიტეს ქვეყნის ბედი.

მტრები კარგად ხედავდნენ, რომ საქართველოს ორი ლომიდან ერთი გარდაიცვალა, ხოლო მეორე ღრმად მოხუცებული იყო. აღა მაჰმად ხანი, სპარსეთის შაჰი, რომელიც მეფე ერეკლეზე გულმოსული იყო რუსეთთან გაფორმებული ხელშეკრულების გამო, თავისი ჯარით თავს დაესხა საქართველოს (1795 წ.). მოხუცი მეფე, რომელსაც თავადებმა უღალატეს, სპარსეთის შაჰს კრწანისში, თბილისთან ახლოს შეება თავისი ჯარით. მის გვერდით იყო მისი შვილიშვილი, იმერეთის მეფე სოლომონ II მცირე ლაშქრით. იმერეთის სარდალმა გენერალმა წერეთელმაც აარიდა ბრძოლას თავი და ჯარის ნახევართან ერთად იმერეთში დაბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ მეფე ერეკლეს ძალიან მცირე არმია ჰყავდა, მოხუცმა სარდალმა ისე შეუტია სპარსელებს,

რომ ალა მაჰმად ხანმა ჩათვალა, ქართველებს უამრავი მეომარი ჰყავთო და უკან დაიხია. მაგრამ რამდენიმე მოღალატემ საიდუმლოდ მიიყვანა სპარსელები თბილისთან და მეფე ერეკლე იძულებული გახდა ბრძოლის ველი დაეტოვებინა. სპარსელებმა თბილისი გადაწვეს და ძირფესვიანად ააოხრეს.

ეს აოხრება ბოლო აღმოჩნდა. მეფე ერეკლე თბილისის საშველად უკვე რუსეთს უხმობდა. მას სხვა გზა აღარ გააჩნდა. თბილისში გამართული დარბაზის სხდომა, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა სათავადოს წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას და სადაც საქართველოს გაერთიანების საკითხი განიხილებოდა, უშედეგოდ დასრულდა. სამეფო ოჯახის წევრებს და თავადებს შორის უთანხმოებამ საქართველო დასუსტებამდე და დაცემამდე მიიყვანა.

1798 წელს მეფე ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოს ტახტზე მისი ვაჟი გიორგი მეთორმეტე ავიდა. იმერეთში მეფობდა სოლომონ მეორე. ოსმალეთი და სპარსეთი ვერ ეგუებოდნენ საქართველოზე რუსეთის მფარველობას და დიპლომატიური გზით ცდილობდნენ ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლისთვის ხელი შეეშალათ. ამავე დროს ისინი საქართველოს დიდ დაპირებებს აძლევდნენ. მაგრამ ქართველები, რომლებიც მრავალი საუკუ-

ნის განმავლობაში მოტყუებულნი რჩებოდნენ, ამ დაპირებებს ცუდი თვალით უყურებდნენ და 1799 წელს გიორგი XII-მ რუსეთის იმპერატორ პავლე I-თან მფარველობითი ხელშეკრულება გააფორმა. ამ ხელშეკრულებით საქართველო რუსეთის ვასალი სახელმწიფო ხდებოდა. ორივე მეფე თითქმის ერთდროულად გარდაიცვალა ხელშეკრულების რატიფიცირებამდე. პავლე I-ის მემკვიდრემ, იმპერატორმა ალექსანდრე I-მა, 1801 წლის მანიფესტში საქართველო რუსეთის მიერ ანექსირებულად გამოაცხადა.

ეს იყო ჩვენი ხელშეკრულების პირველი დარღვევა, რასაც ქართველმა ელჩებმა პეტერბურგში პროტესტით და რუსეთის დედაქალაქის დაუყოვნებლივ დატოვებით უპასუხეს. მაგრამ რუსულმა არმიამ უკვე დაიწყო საქართველოში შესვლა, სადაც ქვეყნის ზოგიერთ ნაწილში ოსმალეთისა და სპარსეთის შემოსევებით თავმობეზრებული მოსახლეობისგან მხარდაჭერასაც კი პოულობდნენ, ზოგ რეგიონში კი ადგილობრივების მოსყიდვას ახერხებდნენ. ამ დროიდან იწყება საქართველოს და მთელი კავკასიის დამონება.

ქართველები მალე დარწმუნდნენ, რომ რუსეთის საზეიმო დაპირებების, ხელშეკრულებისა და იმპერატორის მანიფესტებისთვის აღარ უნდა დაეჯერებინათ. ქვეყანაში შე-

მოსვლისთანავე დაიწყეს რუსებმა ქართულ ეროვნულ ინსტიტუციებზე სისტემატური ზენოლა. მათ ხელშეკრულებით დაკისრებული სხვა პირობებიც არ შეასრულეს. სამეფო ტახტზე ერეკლე II-ის ან გიორგი XII-ის მემკვიდრეების ასვლის ნაცვლად, ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლები დააპატიმრეს და რუსეთის პროვინციებში გადაასახლეს. ამავე დროს ქართულ ეკლესიას საუკუნოვანი ავტოკეფალია გაუუქმეს და მთელი ქონება ჩამოართვეს. კათალიკოსი დააპატიმრეს და რუსეთში გადაასახლეს, და ამ დროიდან რუსეთის სინოდი მართავდა ქართულ ეკლესიას. ქართულმა სამართალმა არსებობა შეწყვიტა, ქართული ენა ამოიღეს სასულიერო სკოლებიდან და საეკლესიო ლიტერატურიდან, ისევე როგორც სამართლიდან და სხვა ინსტიტუციებიდან.

დასავლეთ საქართველოში, სადაც სოლომონ II ნებით არ აპირებდა რუსეთთან შეერთებას, მოხშირდა საშინელი შეუბრალებელი ქმედებები ადგილობრივი მოსახლეობის, დიდებულების, სამღვდელოების და სამეფო დინასტიის წარმომადგენლების წინააღმდეგ. მეფე წლების განმავლობაში გმირულ წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ როცა მიხვდა, რომ ყველაფერი დამთავრდა, ოსმალეთში გაიქცა და სიცოცხლის ბოლო წლები ტრაპზონში გა-

ატარა. ის დაკრძალულია ბერძნულ ეკლესიაში. ქუთაისში ორი ეპისკოპოსი დაახრჩვეს, ტომარაში ჩადეს და სადღაც მთაში დამარხეს. მათი საფლავები უცნობია.[1]

ქართველ მოსახლეობას მძიმე სამუშაოს შესრულებას აიძულებდნენ და დიდ გადასახადებს უწესებდნენ. ყველა თანამდებობას მექრთამე და მძარცველი მოხელეები იკავებდნენ, რომლებიც მოსახლეობას ცუდად ექცეოდნენ და ძარცვავდნენ, არც ქალები იყვნენ დაცული რუსი ჯარისკაცების ძალადობისგან.

საქართველოში ყაჩაღური თადასხმების ეპოქა დაბრუნდა. ასე ულალატა მას ერთმორწმუნე ერმა, რომელსაც დახმარება სთხოვა. ამიტომ ქართველები იძულებული გახდნენ კვლავ იარაღი აეღოთ ხელში. დაიწყო საშინელი აჯანყებების ხანა, 1804 წლის აჯანყება მთაში, 1812 წლის კახეთის აჯანყება, ასევე იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, სვანეთი-

1. იგულისხმება ფაქტი, რომელიც მოხდა 1820 წელს, იმერეთში ანტირუსული აჯანყების დროს. რუსებმა მიტროპოლიტები დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გაენათელი დააპატიმრეს, თავებზე ტომრები ჩამოაცვეს და იმერეთიდან ფარულად გაიყვანეს. დატყვევებისას ხიმშტებით დაჭრილი და ნაცემი მღვდელმთავარი დოსითეოსი გზაში, გორის მახლობლად გარდაიცვალა. მისი ცხედარი ანანურამდე ატარეს და იქ დაკრძალეს. ექვთიმე გაენათელი რუსეთის შორეულ გუბერნიაში გადაასახლეს, **რედ.**

სა და აფხაზეთის აჯანყებები. ეს არის მე-19 საუკუნეში პატარა საქართველოს გააფთრებული ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ, რუსი იმპერატორების მიერ ფეხქვეშ გათელილი კანონების დასაცავად.

მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. საუკუნეების განმავლობაში წარმოებული ბრძოლების გამო ძალ-ღონეგამოცლილ პატარა ერს აღარ შეეძლო ხანგრძლივად შებრძოლებოდა დიდ იმპერიას, რომელსაც რეგულარული არმია ჰყავდა. აჯანყებებს სისხლში ახშობდნენ, და ყველა ბრძოლის დასრულების შემდეგ, ნაცვლად 1783 წლის ტრაქტატით დაპირებული ქართული სამეფო დინასტიის აღდგენისა, საქართველოსა და მთელ კავკასიაში აბსოლუტურ ძალაუფლებას რუსი მეფისნაცვალი ფლობდა.

ავტოკეფალური ეკლესიის ნაცვლად გამოჩნდნენ წმინდა სინოდის მაღალი სასულიერო პირები, მეექვთამე ეგზარქოსები, რომლებიც ქართული ეკლესიის ქონებით გამდიდრდნენ. ეროვნული თავდაცვის სანაცვლოდ რუსეთის სასარგებლოდ იძულებითი სამხედრო სამსახური დაწესდა, რომლის დროსაც ქართველ ჯარისკაცებს შეგნებულად აგზავნიდნენ რუსეთის შორეულ რეგიონებში, საიდანაც ისინი დაავადებული ბრუნდებოდნენ. ქართულ იურისდიქციას რუსული სამართალი ჩაენაცვლა, რომელიც ბატონყმობას უფრო აუარესებდა. ის მაღალი

წრის უფლებებს ზრდიდა და გლეხებს საკუთრებას ართმევდა. ეროვნული მონეტის ნაცვლად რუსული ფული შემოვიდა, ხელშეკრულებით დადგენილი ქართული უმაღლესი ხელისუფლების ნაცვლად რუსი მოხელეები იყენებდნენ ძალაუფლებას ბოროტად, როგორც ეს მთელ მსოფლიოშია ცნობილი; ყველა ინსტიტუციაში ქართული ენის ნაცვლად რუსული ენა დაწესდა – ენა, რომელიც ქართველებისთვის უცხო იყო, ქართული სკოლა რუსულმა ჩაანაცვლა, სადაც ქართველი ბავშვების თაობები საუკუნეების განმავლობაში იტანჯებოდნენ.

ზოგ შემთხვევაში „იმპერატორის სიტყვა" და რუსეთის საზეიმო დაპირება საქართველოს წინაშე შესრულდა, და ამიტომაც უჩიოდნენ რუსები ქართველების უმადურობას, რომელთა გამათავისუფლებლებადაც მიაჩნდათ თავი და რომელთაგანაც რუსეთის მეფეების რეჟიმის ერთგულებას მოითხოვდნენ.

მოვლენები ფრიად საინტერესოდ და სამწუხაროდ ვითარდებოდა. მთის მუსულმანი მოსახლეობა ისე იქცეოდა, თითქოს რუსებს არასოდეს დაედგათ ფეხი კავკასიაში. ისინი კვლავ ესხმოდნენ თავს საქართველოს. ამ ყველაფერმა საქართველო იძულებული გახადა, კავკასია რუსეთის გვირგვინის ბრწყინვალე საჩუქრად ექცია. მიუხედავად იმისა, რომ რუსებმა ქართველები სამარცხვინოდ მოატყუეს, აქ მაინც

არსებობდა ქართველთა ერთი დაჯგუფება, რომელიც თავის პატრიოტულ მოვალეობად მიიჩნევდა, მხარი დაეჭირა კავკასიაში რუსეთის გაბატონებისთვის და დახმარებოდა მას თურქეთისა და ირანის დასუსტების საქმეში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში გაბატონების წინა პერიოდში რუსები ცდილობდნენ ქართველი დიდებულების გულის მოგებას, ეპირფერებოდნენ მათ და მაღალ სამოქალაქო თუ სამხედრო თანამდებობებზე ნიშნავდნენ.

ამგვარად, ადვილი წარმოსადგენია თუ რატომ ეხმარებოდნენ ქართველები რუსებს კავკასიის დაპყრობასა და სპარსელებისა და თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ უკანასკნელთ ჩამოართვეს ქართული პროვინციები, რომლებიც უკვე გამაჰმადიანებული გახლდათ. რუსები ქართველ სარდლებს უნდა უმადლოდნენ კავკასიის დამორჩილებას და თურქების საბოლოოდ განდევნას ქვეყნიდან. ქართველი გენერლების ჯანდიერის, ჭავჭავაძის, ლორის-მელიქოვის,[1] ამილახვარის, ამი-

1. ცნობილი ლორის-მელიქოვი მხოლოდ სარწმუნოებით იყო სომეხი. ის საქართველოში აღიზარდა და ქართველ თავად-აზნაურთა წრეს ეკუთვნოდა. მისი მშობლიური ენა ქართული იყო და ის ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა ქართულ, ეროვნულ საქმიანობაში (ავტორის შენიშვნა).

რეჯიბის და სხვათა სახელები ცნობილია რუსეთის ბრძოლებიდან კავკასიაში თურქეთისა და მთის ხალხების წინააღმდეგ.

ნაცვლად იმისა, რომ ქართველი ხალხი გაღებული მსხვერპლისა და დაღვრილი სისხლისთვის დაეჯილდოებინათ, რუსეთის შემოსვლის შემდეგ მათი მდგომარეობა უფრო გაუარესდა. საქართველოზე საშინელი ბატონობა მთელი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. ქართული ენის დევნა, საეკლესიო მსახურებიდან მისი ამოღების მცდელობა, ქვეყნის რუსიფიკაციის მიზნით საქართველოს კოლონიზაცია, ქართული პრესის დევნა, უსამართლობის ნებისმიერი ფორმით კრიტიკის გამო ციმბირში გადასახლება და ყველა ინკვიზიტორული ძალადობა, რასაც რუსები სჩადიოდნენ, სეტყვასავით ეცემოდა ქართველ ერს.

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა სხვა პერიოდებთან შედარებით საგანგაშო იყო. ხდებოდა ქართული მამულების კონფისკაცია და რუს და სომეხ კოლონისტებზე გადაცემა. ქართველ გლეხს მიწა აღარ დარჩა ოჯახის სარჩენად, ის მიწა, რომელსაც მისი წინაპრები ათასობით წლის განმავლობაში იცავდნენ აზიურ ურდოების თავდასხმებისგან.

მაგრამ ეროვნული ღირსება ყველა ამ სისასტიკეზე მაღლა იდგა. ზემოთ ნახსენები აჯანყებები, რომლებიც უმოწყალოდ იქნა ჩახ-

შობილი, არ წარმოადგენდა ქართველი ხალხის პროტესტის ერთადერთ ფორმას. ქართული საზოგადოების წიაღში საგანგებო სამუშაოები მიმდინარეობდა. ძველი ქართული ლიტერატურის საფუძველზე შეიქმნა ახალი ქართული ლიტერატურა, რომელიც სულაც არ განიცდიდა აღმოსავლეთის გავლენას, პირიქით, აქ ჩვენი ხალხის თავისუფალი სული იყო წინ წამოწეული. შეიქმნა პრესა, რომელიც განიხილავდა სხვადასხვა სამეცნიერო, ლიტერატურულ, ხელოვნების თუ სოციალურ პრობლემას. აღმოცენდა პუბლიცისტიკა. გამოჩნდა ევროპასა და რუსეთში განათლებამიღებული მწერლების დიდი გუნდი, რომელთაგანაც უმეტესობა ტოლს არ უდებდა რუს თუ ევროპელ მწერლებს.

რუსეთის უნივერსიტეტებში ბევრი ქართველი სწავლული იკავებდა კათედრას და კითხულობდა ლექციებს. ფიზიოლოგი თარხანოვი[1], ქიმიკოსები პეტრიაშვილი და მელიქიშვილი, ფილოლოგი და ისტორიკოსი ცაგარელი, მარი და სხვები რუსულ და ევროპულ უნივერსიტეტებს ამშვენებდნენ. ამ სწავლულებიდან უმეტესობა საქართველოშიც კი მოღვაწეობდა და მშობლიურ ენაზე კითხულობდა ლექციებს და ამით იმ ქართველ

1. ივანე თარხნიშვილი — ცნობილი ქართველი მეცნიერი. **რედ.**

მეცნიერებს, რომლებიც სამშობლოში იყვნენ დასაქმებული, მხარდაჭერას უცხადებდა. ეს ხდებოდა მაშინ, როცა საქართველოში არ არსებობდა უნივერსიტეტი და უმაღლესი სკოლა. რუსებს არასოდეს მოუციათ ჩვენთვის ქართული უნივერსიტეტის დაარსების უფლება. თუმცა არც რუსული უნივერსიტეტის გახსნის იდეა მოსვლიათ.

მიუხედავად რუსი ჟანდარმების ტერორიზმისა და ცარიზმის ინკვიზიტორული რეჟიმისა, რუსიფიცირების ყველა მცდელობა მარცხით მთავრდებოდა.

ერმა მოიკრიბა ეროვნული ძალა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გადატანილი ტანჯვის მიუხედავად მაინც აგრძელებდა არსებობას და საქართველო ფერფლიდან ისევ აღდგა. იქ, სადაც დიდი ქართველი პოეტები ბარათაშვილი, ორბელიანი, წერეთელი, ჭავჭავაძე და სხვები სამშობლოს ადიდებდნენ, რუსიფიკაცია და დენაციონალიზაციის მცდელობა საბოლოო წარმატებას ვერ მიაღწევდა.

რუსებმა ეს შეამჩნიეს და უფრო მეტი მონდომებით შეეცადნენ ჩაეხშოთ ქართული ეროვნული სულის დაბადება. ქართველი ხალხი აპროტესტებდა ისე, როგორც ეს თავდაჯერებულ და ამაყ ერს შეეფერება. საკმარისია მხოლოდ დიმიტრი ყიფიანის ტრაგიკული აღსასრულის

გახსენება. ის იყო ქართველი თავადი,[1] რომელმაც რუს ეგზარქოსს პავლეს ხმის აწევა გაუბედა. ამ უკანასკნელმა თბილისის საკათედრო ტაძრის საკურთხევლიდან დასწყევლა ქართველი ერი იმ მკვლელობის გამო, სემინარიის ქართველმა სტუდენტმა რომ ჩაიდინა. მან მოკლა სემინარიის რუსი რექტორი ჩუდნოვსკი,[2] ნამდვილი ინკვიზიტორი, რომელმაც მართლაც დაიმსახურა საქართველოდან შორს ყოფნა.

ყიფიანმა ეგზარქოსს მოსთხოვა, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა საქართველო, ქვეყანა, რომლის მოსახლეობაც ასე უსამართლოდ დასწყევლა არქიეპისკოპოსმა. მთავრობის ბრძანებით, ყიფიანი სტავროპოლში გადაასახლეს. იქ გადაცმული რუსი ბერი შეიპარა მის ბინაში და მძინარე მოხუცს რკინის ნაჭრით თავის ქალა ჩაუმსხვრია. ამ შემზარავმა დანაშაულმა მთელ საქართველოში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ქართველი დიდებულის ნეშტის დაკრძალვას მთელ ქვეყანაში და განსაკუთრებით თბილისში დიდი საპროტესტო გამოსვლები ახლდა თან.

მე-19 საუკუნის საქართველოს განვითარების ისტორიის გადმოცემას ბევრი ტომი დას-

1. დიმიტრი ყიფიანი სოციალური სტატუსით აზნაური იყო, თუმცა რუსულმა სამართალმა თავადი და აზნაური ერთ წოდებად გააერთიანა, **რედ.**
2. უნდა იყოს ჩუდეცკი, რომელიც სიცოცხლეს გამოასალმა იოსებ ლაღიაშილმა, **რედ.**

ჭირდება. ჩვენ აქ მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ ამ პერიოდში ქვეყანაში ვითარდებოდა ლიტერატურა, ხელოვნება და მეცნიერების სხვადასხვა დარგი. რუსებმა ვერ შეძლეს ეროვნული ცნობიერების ჩაკვლა, პირიქით, რუსიფიცირების პოლიტიკის მიუხედავად, ის უფრო მოძლიერდა. საქართველო დიდ მეცნიერულ ნაბიჯებს დგამდა.

რუსეთში ბატონყმობის გაუქმებამ ქართველი გლეხის გათავისუფლებაც გამოიწვია. მათ საკუთარ ნაკვეთებში შესაშური სიბეჯითით დაიწყეს მუშაობა. ამ პერიოდში ღვინის, აბრეშუმის, თამბაქოს, ყველის, სიმინდის და სხვა პროდუქტის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა, რამაც თავის მხრივ ხალხის კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესება გამოიწვია. ქვეყანაში არსებული ბუნებრივი რესურსების საფუძველზე განვითარდა მეტალურგიული ინდუსტრია. საკმარისია გავიხსენოთ მანგანუმი, რომელიც ყოველწლიურად მილიონობით ტონა იგზავნება მთელ მსოფლიოში. მაღაროს მფლობელთა და იქ დასაქმებულთა უმრავლესობა ქართველია. ასევე მნიშვნელოვანია სპილენძისა და ნახშირის მოპოვებაც. რკინიგზა, რომელიც საქართველოს ძირითად ცენტრებს აკავშირებს ერთმანეთთან, ხალხის ეკონომიკურ აქტიურობას უწყობს ხელს. ისინი უფრო ადვილად უკავშირდებიან კულტურულ ცენტრებსაც.

ევროპულ ყაიდაზე ცხოვრების სურვილი საკმაოდ დიდია. ევროპაში განათლებამიღებული ადამიანების რიცხვი საჭიროების ზღვარს აჭარბებს. ჩვენ ბევრად უფრო მეტი უმაღლესგანათლებული ადამიანი გვყავს, ვიდრე ეს საქართველოსავით პატარა ქვეყანას ესაჭიროება. ზედმეტი ინტელექტუალობა ეკონომიკური თვალსაზრისითაც მავნებელია. მეცნიერული და ფილოსოფიური განათლებამიღებული ადამიანების ნიჭი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვეყნის ინდუსტრიასა და ვაჭრობაში.

ამ ყველაფერმა ქართული საზოგადოება ევროპული განვითარების გზით წაიყვანა. ერმა დაამტკიცა, რომ ის სიცოცხლისუნარიანია და აქვს სოციალური ცხოვრების უმაღლესი ფორმების დამუშავების ნიჭი. სოფელსა თუ ქალაქში გამწვავდა კლასთა შორის კონფლიქტები. ხალხს ახალი სატანჯველი დაატყდა თავს, კერძოდ, ფეოდალიზმის გადმონაშთების და მინის მფლობელი მემამულეების მიერ გლეხთა შრომის ექსპლოატაცია. ამ ყველაფრის წინააღმდეგ ქართველებმა მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრიდან დაიწყეს ბრძოლა. ამ ბრძოლის დროს ქართველმა ხალხმა დაამტკიცა, რომ ის ძალიან ჰგავს ევროპელ ხალხთა ოჯახს. ასპარეზზე სოციალისტური იდეები გამოჩნდა და სოფელსა თუ ქალაქში სწრაფად დაიწყო გავრცელება. საქართველოში გაჩნდა სოციალისტური ლიტერატურა და პრე-

სა, შეიქმნა პარტიები, რომლებიც სხვადასხვა სოციალისტურ მიმდინარეობას წარმოადგენდნენ და ქვეყნის მორალურ, ეკონომიკურ და ინტელექტუალურ ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ.

ამგვარად, მთელი საუკუნის განმავლობაში საქართველო ორი დიდი პრობლემის მოგვარებით იყო დაკავებული: სოციალური და ნაციონალური. ამ პრობლემების მუდმივი განხილვების შედეგად ხალხის სულიერი მდგომარეობა გამწვავდა. კლასობრივი ბრძოლა და პარტიული დავა იმდენად შორს წავიდა, რომ 1904-1905 წლებში მთელ რუსეთის იმპერიაში რევოლუცია დაიწყო.[1]

ქართველი ხალხი რევოლუციისთვის მზად იყო და მისი ქმედების ფორმებს იზიარებდა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს ხალხი იყო ერთადერთი, რომელიც 1904-1905 წწ. რევოლუციური მოძრაობის აზრს ზუსტად იგებდა.

მთელს იმპერიაში და განსაკუთრებით რუსეთში, წვავდნენ მემამულეთა კარ-მიდამოებს, ანგრევდნენ ქარხნებსა და საწარმოებს, ხოცავდნენ მთავრობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებს, აწყობდნენ დიდ მანიფეს-

1. რუსეთის პირველ სახალხო რევოლუციას სათავე 1905 წლის 9 იანვარს, „სისხლიანი კვირით" დაედო, **რედ.**

ტაციებს, რომლებიც ძირითადად მონაწილეთა ამოჟლეტით სრულდებოდა. ამ ყველაფრის მიუხედავად, შემოქმედებითი მხარე არ ჩანდა და ძალადობის ამ აქტების მიუხედავად, არ იქმნებოდა არც ერთი ორგანიზაცია, რომელიც ახალი ცხოვრების შექმნაზე იზრუნებდა.

საქართველოში ძალადობის წინააღმდეგ გამოსვლები ეწყობოდა, რაც რევოლუციის დროს ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგრამ ამ გამოსვლებს არ გააჩნდათ ქართული რევოლუციისთვის დამახასიათებელი ნიშნები. ქართველმა ხალხმა საქმის ძირითადი არსი გაიაზრა. ეს რევოლუცია იყო ძველი წყობის უფრო უკეთესით ჩანაცვლების მცდელობა. ეს კი ჩვენთვის სოციალური იდეალის განხორციელებას ნიშნავდა, რასაც ჩვენთან ათეულობით წლების განმავლობაში ქადაგებდნენ. ეს იყო ძველი ინსტიტუციების ახლით ჩანაცვლება, რომელიც ახალ სულს, ახალ მოთხოვნებს უკეთ ესადაგებოდა. რევოლუცია არ არის მხოლოდ ნგრევის პროცესი, მას უნდა გააჩნდეს აღმშენებლობის უნარიც, ხალხის სოციალური, მორალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ახლებურად მოწყობის შესაძლებლობაც.

საქართველოში მოკლეს რამდენიმე დიდი მემამულე, რომლებიც გლეხებს ძალიან დიდ ექსპლოატაციას უწევდნენ, ასევე რამდენიმე

ჯამუში და გენერალ-გუბერნატორი, რომლებიც თავიანთი ძალადობრივი საქციელით გამოირჩეოდნენ. ეს ყველაფერი მხოლოდ გვერდითი მოვლენები იყო. სოფლებიდან დევნიდნენ მმართველებს, პოლიციას და რუს სასამართლო მოხელეებს და მათ ნაცვლად ნიშნავდენენ ახალ მმართველებს, ახალ პოლიციას და ახალ მსაჯულებს. მემამულეებს ჩამოართვეს ის მამულები, რომლებსაც თავად ისინი არასოდეს ამუშავებდნენ და ძალიან დიდი გადასახადის სანაცვლოდ გლეხებს უთმობდნენ.

პრინციპი, მინა უნდა ეკუთვნოდეს მას, ვისაც მისი დამუშავება შეუძლია და სურს, საქართველოში **1905-1906** წწ.-ში განხორციელდა. ზნედაცემული სამღვდელოება, რომელიც რელიგიას და ეკლესიას ჩირქს სცხებდა და ხალხს ძარცვავდა, პასუხისგებაში მისცეს. სასულიერო პირებისთვის დაწესდა იმ ოდენობის ხელფასი და გადასახადები, რაც მათი შრომის შესაფერისი იყო და იმ მუშახელის შესაძლებლობას შეესაბამებოდა, ვინც სამღვდელოების სამსახურში იდგა. ქარხნის მეპატრონეები აიძულეს, ისე გაეზარდთ ხელფასები, რომ მუშას ადამიანურად ცხოვრება შეძლებოდა. მოითხოვეს სათათბიროს შექმნა, რომლის წევრებიც საყოველთაო არჩევნების შედეგად იქნებოდნენ არჩეულნი, და რომლებიც კონსტიტუციას

თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპებზე შეიმუშავებდნენ. საბოლოო მიზანი იყო შეექმნათ ისეთი რესპუბლიკა, რომელიც შეუფერხებელი განვითარების გარანტი იქნებოდა.

პარტიები დაობდნენ პრინციპებსა და დოგმებზე. მაშინ როცა სოციალ-დემოკრატები მთელი რუსეთის იმპერიის ცენტრალიზებულ რესპუბლიკად ქცევისკენ მიისწრაფვოდნენ, სოციალისტ-ფედერალისტები ითხოვდნენ ყველა ხალხის ავტონომიური სახელმწიფოებიდან შემდგარი ფედერაციული რუსეთის შექმნას. მთელი რევოლუციის განმავლობაში ამ პარტიების გაერთიანება ვერ მოხერხდა. ეს გახლდათ ქართული რევოლუციის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი. სწორედ მაშინ, როცა ქართველებს ერთად უნდა ებრძოლათ საერთო მტრის წინააღმდეგ, გაერთიანება ვერ მოახერხეს.

საუბედუროდ, რუსეთში რევოლუციური მოძრაობა ჩაახშვეს. საქართველოს, პოლონეთს და სხვა არარუსულ რეგიონებს უფრო მეტი საფანჯველი შეხვდათ, ვიდრე თავად რუსეთს. რევოლუციური მოძრაობა სისხლში ჩაახშვეს. ქალაქები და სოფლები გადაწვეს და საარტილერიო იერიშებით მიწასთან გაასწორეს. ათასობით ადამიანი ჩამოახრჩვეს, დახვრიტეს ან ციმბირში გადაასახლეს. ასეთი რეაქცია ჰქონდა რუსეთს საქართველოში

რევოლუციის შემდეგ. რუსეთმა ევროპა და მთელი მსოფლიო მოატყუა და ნაცვლად დაპირებული კონსტიტუციური მმართველობისა, ერთპიროვნული დიქტატურით ჩაანაცვლა.

ყველა სოფელსა თუ ქალაქში აწყობენ პროვოკაციებს, რაც მსხვერპლით სრულდება. გუბერნატორები, სოფლის მმართველები, პოლიციის უფროსები და ჟანდარმები ყაჩაღებთან უშუალო კავშირში არიან. მათ დანაშაულის დაფარვისთვის უხდიან. ყოველი ყაჩაღობის შემდეგ მოდის „ეგზეკუცია" ანუ ადმინისტრაცული ბანდები, რამდენიმე დღის განმავლობაში ყაჩაღების დაკავების მიზეზით ალყას არტყამენ 5-6 სოფელს. შევიწროებული გლეხები ბოლოსდაბოლოს იძულებული ხდებიან, დიდი თანხა გადაიხადონ და ასეთი ალყებისგან გათავისუფლდნენ. ამის შემდეგ ალყა იხსნება, ყაჩაღები კი უკვალოდ ქრებიან. ხშირად უდანაშაულო ადამიანებს ახრჩობენ ყაჩაღების ნაცვლად, რომლებიც მოგვიანებით პოლიციაში მიდიან და მათ მონაპოვარს უნაწილებენ.

მთელ საქართველოში, უფრო კი ქალაქებშიც, ამ სისტემას ხალხი მსხვერპლად ეწირება. ხშირად იტაცებენ მდიდარი მოქალაქეების შვილებს და მათგან გამოსასყიდს ითხოვენ. ეს საქმე კი პოლიციის, სახელმწიფო მოხელეების და სხვა „უშიშროების ორგანოების" დახმარე-

ბის გარეშე წინ ვერ წაიწევს. მაგალითად, თბილისში გაიტაცეს ერთი მდიდარი კაცის იუზბაშევის შვილი, რომელმაც მის დასაბრუნებლად 50 000 რუბლი გადაიხადა.

რაც შეეხება სკოლებს, ეკლესიას და ყველაფერ ეროვნულს, რუსებმა აქ ძალა არ დაიშურეს და რევოლუციის შემდეგ ყველაზე დიდი ენერგიით განახორციელეს ზენოლა. მათ გეგმაც კი შეიმუშავეს, როგორ უნდა წაერთმიათ ხალხისთვის საუკუნეების მანძილზე დაცული მიწა-წყალი. მთავრობამ ისარგებლა მემამულეებში არსებული ეკონომიკური კრიზისით და მიზანმიმართული საბანკო ოპერაციებით შეეცადა მათი ქონების დაპატრონებას. მათ სურდათ, მოგვიანებით ამ მიწებზე რუსი გლეხები დაესახლებინათ. საბედნიეროდ, მთავრობის ამ გეგმას დიდი ნარმატება არ მოჰყოლია. ქართველმა გლეხებმა სასწრაფოდ შეაგროვეს უკანასკნელი კაპიკები და დიდებულებისაგან მიწების შეძენა დაიწყეს. რუსეთის მთავრობის და მისი წარმომადგენლების დანაშაული საქართველოს წინაშე ენით აღუწერელი, დაუჯერებელი და უთვალავია. შორს წაგვიყვანს იმ სისტემის დახასიათება, რომელიც რუსეთის მთავრობამ კავკასიის სამართავად შექმნა. ქართველები ყველა ღონეს ხმარობდნენ მათ თავიდან ასაშორებლად, მაგრამ შედეგი არ ჰქონდათ.

1907 წელს, როცა საქართველო მწარედ დასტიროდა თავის ჩამომხრჩვალ, დახვრეტილ და გადასახლებულ შვილებს, მაშინ როცა ათობით სოფელი და ქალაქი ნანგრევებად იყო ქცეული, ქართველმა ერმა ჰააგის სამშვიდობო კონფერენციაზე პეტიცია გააგზავნა, რომელსაც საქართველოს მთელი მოსახლეობა, აწერდა ხელს[1], სოციალური წარმოშობის მიუხედავად. ამ პეტიციის დახმარებით საქართველომ ევროპას გააცნო ბარბაროსობის ყველა ის ფაქტი, რაც ცარიზმის მიერ ხორციელდებოდა და მოითხოვეს, საერთაშორისო სამართლის საფუძველზე რუსეთი იძულებული გაეხადათ, პატივი ეცა 1783 წლის ტრაქტატისთვის, რომელიც მან დაარღვია და აღედგინა უკანონოდ წართმეული ავტონომია. პეტიციას სხვადასხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები გაეცვნენ, თუმცა რადგან ის კონფერენციის დღის წესრიგში დროულად ვერ მოხვდა, საჯარო განხილვის საგნად არ ქცეულა.

ამ დროიდან რუსეთის მხრიდან დევნა და ზეწოლა უფრო გაძლიერდა. საქართვველოში სუნთქვა აღარ შეიძლებოდა. რუსი მმართველების მიერ დამონებული და დაჩაგრული ხალხი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა.

1. პეტიციაზე ხელისმომწერთა რიცხვი გაზვიადებულია, ის სულ ორი ათასამდე კაცით შემოიფარგლებოდა, რედ.

ქართველები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ხალხის ბედის გასაუმჯობესებლად, მაგრამ მათ ყოველ მცდელობას პოლიცია ახშობდა. ამიტომ მათ გადაწყვიტეს ცოტა შეესვენათ, დროებით მოეთმინათ ეს საშინელი მონობა, დაუმსახურებელი დამცირება, ტანჯვა-წამება, ძალა მოეკრიბათ და სიცოცხლის ბოლომდე ებრძოლათ. ამაყი და მებრძოლი სულის მქონე ქართველობა ძალიან საშიში ძალა იქნებოდა თუკი იარაღის ხელში აღების შესაძლებლობა მიეცემოდა. ეს კარგად იცოდნენ რუსებმა, ამიტომ ისინი ქალაქსა თუ სოფელში თითოეულ სახლს, ყოველ კუთხე-კუნჭულს ჩხრეკდნენ და მოსახლეობას იარაღს ართმევდნენ.

მიმდინარე ომი საქართველოსთვის ერთადერთ იმედს წარმოადგენს. ქართველები გერმანიის მიმართ დიდი და გულწრფელი სიმპათიით არიან განწყობილნი. მხოლოდ გერმანიას შეუძლია ქვეყნის ხსნა, რომელიც მზადაა მსხვერპლიც კი გაიღოს, ოღონდ თავისუფლება მოიპოვოს. საქართველო უკან არ დაიხევს და მონაწილეობას მიიღებს სასტიკი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელშიც შეიძლება დაიღუპოს კიდეც, მაგრამ მონურ ცხოვრებას ის გმირულ აღსასრულს ამჯობინებს. ამით საქართველო სხვა ჩაგრულ ხალხებისთვის მაგალითი იქნება. ქართველი ხალხი შესაფერის მომენტს ელოდება, რათა მთელ

მსოფლიოს დაანახოს, რომ გიორგი სააკაძისა და ერეკლე მეფის შთამომავლები დღესაც მზად არიან, თავდადებით იბრძოლონ მტრის წინააღმდეგ. ამ ომში აჭარამ და სხვა ქართულ-მუსულმანურმა პროვინციებმა დაამტკიცეს, რომ ქართველებს თავდადებული ბრძოლა შეუძლიათ, თუ მათ მეგობრები გვერდს უმაგრებენ. სამწუხაროა, რომ ოსმალეთის არმიის უკან დახევის შემდეგ ეს რეგიონი რუსებმა გაანადგურეს.[1]

საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო სამართალმა მისი რეალური მდგომარეობა განსაზღვროს. ამ თვალსაზრისით ჩაგრულ ერთა შორის საქარ-

1. იგულისხმება შემდეგი მოვლენა: 1915 წელს პეტროგრადის დეპეშათა სააგენტომ უკომენტაროდ გაავრცელა იმპერიის კონტრდაზვერვის მიერ „მოპოვებული" საიდუმლო დეპეშა", რომლის თანახმად, ბათუმის ოლქის მაჰმადიან მოსახლეობაში თითქოს შეიმჩნეოდა ანტისახელმწიფოებრივი განწყობა და წარმოებდა მზადება რუსეთის საწინააღმდეგო შეიარაღებული გამოსვლისათვის. რუსმა შოვინისტებმა აჭარის მკვიდრნი სეპარატიზმსა და სახელმწიფო ღალატში დაადანაშაულეს. კავკასიის ადმინისტრაციამ აჭარის დასახლებულ პუნქტებს ეგზეკუციები შეუსია. ჯარმა ათეულობით სოფელი გადაწვა და გააპარტახა, ხალხი აანიოკა, რამდენიმე ეჭვმიტანილი გაუსამართლებლად ჩამოახრჩეს. სახელმწიფო ღალატის მუხლით 400-მდე კაცი პასუხისგებაში იქნა მიცემული, თუმცა მათ ეს ბრალდება ვერ დაუმტკიცეს, **რედ**.

თველოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რა თქმა უნდა, ფინეთის შემდეგ, რომელიც ასევე სასტიკად იჩაგრებოდა ცარიზმის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე ამის უფლება არ გააჩნდა. მაგრამ საქართველოს შემთხვევა საერთაშორისო სამართალთან მიმართებაში უფრო ნათელია. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ხელშეკრულებებზე, კერძოდ 1783 წელს მეფე ერეკლე II-სა და რუსეთის იმპერატორ ეკატერინეს შორის გაფორმებულ ტრაქტატზე და ასევე 1799 წელს საქართველოს მეფე გიორგი XII-სა და რუსეთის იმპერატორ პავლე I-ს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე. პირველი ხელშეკრულება რატიფიცირებულია და ამიტომ მას დღემდე სრული იურიდიული მოქმედების ძალა გააჩნია. იმპერატორ ალექსანდრე I-ის მანიფესტი, რომლითაც მან საქართველოს ანექსია გამოაცხადა, არსებული ტრაქტატის პირობების პირველი დარღვევაა. მას შემდეგ რუსეთის მხრიდან ტრაქტატის დარღვევა არ შეწყვეტილა. ამ დროიდან მოყოლებული მშვიდობიანი მოსახლეობისა თუ სამხედრო პერსონალის ერთგული სამსახური იძულებითი და სავალდებულო იყო. ქართველებს არასოდეს უფიქრიათ დაერღვიათ ტრაქტატი, პირიქით ამას რუსი იმპერატორები აკეთებდნენ, ისინი რომლებიც იმპერატორის პატიოსან სიტყვას

დებდნენ, რომ ამ ტრაქტატს პატივისცემით მოეკიდებოდნენ, მაგრამ საქმით სხვას ამტკიცებდნენ. მათ ერთ საუკუნეზე მეტია არ შეუწყვეტიათ მისი სამარცხვინო დარღვევა.

რუსეთს საქართველო იარაღით არ დაუპყრია. ის დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელიც საკუთარი სურვილითა და საერთაშორისო სამართლის პატივისცემის იმედად რუსეთის მფარველობაში შევიდა. თუ რუსეთმა არ შეასრულა პირობა, არც საქართველო მიიჩნევს თავს ვალდებულად დამოკიდებული იყოს ხელშეკრულებაზე. ის დე-იურედ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ რჩება, რომლის უფლებებიც რუსეთის მხრიდან უკანონოდ ირღვევა და რომელიც, მიუხედავად რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკისა, მის პროვინციად არ ქცეულა. ისტორიას არ ახსოვს რუსეთ-საქართველოს ომი. მას ახსოვს მხოლოდ რუსეთის მიერ საქართველოს თვითნებური და ძალადობრივი ანექსია, რომელიც საზეიმოდ დადებული ხელშეკრულების დარღვევის საფუძველზე მოხდა.

1907 წელს, როცა ჩვენი წარმომადგენლების საშუალებით ჰააგის საშშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს ყველა სოციალური ფენის მიერ ხელმოწერილი პეტიცია გავავრცელეთ, კონფერენციის მონაწილე არც ერთი სახელმწიფოს წარმომადგენელს, მათ შორის რუსეთისაც, ეჭვი არ შეპარვია ამ პეტიციის კანონიერებაში.

ამ პეტიციის წაკითხვა მხოლოდ ერთი მიზეზის გამო ვერ მოხერხდა. როცა მან ჰააგამდე ჩააღწია, კონფერენციის დღის წესრიგი უკვე გაწერილი იყო. მხოლოდ რუსეთის წარმომადგენელმა, ნელიდოვმა, რომელიც დელეგატების თხოვნით დროებით თავმჯდომარედ იყო არჩეული, გამოთქვა „ფორმალური თვალსაზრისი". მან თავისი დროებითი პოზიცია ბოროტად მარტო იმიტომ გამოიყენა, რომ თავისი ქვეყნის სამარცხვინო პოლიტიკა გაემართლებინა და მისთვის სირცხვილი აეცილებინა. კონფერენციის ეს დუმილი ნიშნავს იმას, რომ იქ მყოფი სახელმწიფოების წარმომადგენლები საქართველოს ქმედებებს კანონიერად აღიარებდნენ.

აქედან გამომდინარე, ქართველ ერს აქვს უფლება, დამეგობრებულ სახელმწიფოებს, გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს და თურქეთს, სთხოვოს რუსეთის წინააღმდეგ მიმართული მტრული საქციელი რევოლუციურ ქმედებად არ ჩათვალონ. ეს არის სამხედრო აქცია, რომელიც მიმართულია რუსეთის ძალისმიერი და უკანონო საქციელის წინააღმდეგ.

საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის აღიარების შესახებ ძალიან საინტერესო პრეცედენტი არსებობს. რამდენიმე წლის წინ ჟენევაში რუსეთის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური საქმიანობის გამო სამი

ქართველი სტუდენტი დააკავეს. ისინი რუსეთისთვის უნდა გადაეცათ, მაგრამ ლოზანის ფედერალურმა ტრიბუნალმა სტუდენტები გაამართლა, გაათავისუფლა და შვეიცარიის მთავრობას უარი უთხრა მათ გადაცემაზე[1]. ეს განაჩენი გამოტანილი იყო ევროპაში საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ავტორიტეტის აზრის საფუძველზე.[2] ნისსი მიიჩნევდა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გათვალისწინებით ამ ადამიანთა საქციელის აჯანყებად შეფასება არ შეიძლებოდა და რომ ეს მხოლოდ მებრძოლი პარტიის ქმედების ფორმა იყო.

ამ თვალსაზრისით, ყოველ ქართულ კომიტეტს, რომელსაც ქართველი ერი მტრის წი-

1. იგულისხმება ძმების - გიორგი და ლეო კერესელიძეებისა და ნესტორ მაღალაშვილის ისტორია. მათ სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის დავალებით, 1906 წელს დუშეთში ხაზინის კუთვნილი რამდენიმე ათასი მანეთი გაიტაცეს და უცხოეთში, შვეიცარიაში გაიხიზნენ. რუსეთის ხელისუფლებამ მათი გადაცემა მოითხოვა, მაგრამ უშედეგოდ. იხ. გ. კერესელიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918 წწ.), ჟურნ. „ქართული ემიგრაცია", 2013, N1, გვ. 147-149, **რედ.**
2. იგულისხმება ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორი, სააპელაციო სასამართლოს წევრი, ერნესტ ნისსი. ნისსის ეს დასკვნა თან ერთვის წინამდებარე წიგნს. **რედ.**

ნაალმდეგ მიმართულ სამხედრო ოპერაციებსა და რუსეთის ჯარებისგან გათავისუფლებულ ტერიტორიებზე პასუხისმგებლობას დააკისრებს, მიენიჭება დროებითი მთავრობის სახელი და ამ მთავრობის კანონიერება ზემოხსენებული ძალების მიერ აღიარებული უნდა იქნეს ისე, რომ ეს აღიარება არ ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

ეს სიტუაცია განსაკუთრებული და იდეალურია. იგი საქართველოს არა მხოლოდ კავკასიის ხალხებს შორის გამოარჩევს, არამედ რუსეთის მიერ ჩაგრულ სხვა ერებს შორისაც. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მეგობრები, რომლებიც რუსული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში გვერდით გვიდგანან, მხედველობაში მიიღებენ ქართველი ხალხის განსაკუთრებულ მდგომარეობას და მიგვიღებენ ისე, როგორც ამას მათგან სამართლიანობა და საერთაშორისო სამართალი მოითხოვს.

III

ქართველები კავკასიის ხალხების უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენდნენ. ეს ის ხალხია, რომლმაც მრავალწლოვანი ისტორია, მიუხედავად მისი უბედობისა, ჩვენამდე მოიტანა. ქართველი ხალხი ერთადერთია კავკასიაში, რომელსაც თავისი პოლიტიკური ცხოვრება და გამართული სახელმწიფო წყობა ჰქონდა. ამ ნიშნით გამოირჩეოდა ქართველი ხალხი კავკასიის სხვა ხალხებისაგან.

კავკასიის სხვა ხალხებთან მიმართებით მხოლოდ რამდენიმე შენიშვნით შემოვიფარგლებით. ამიერკავკასიის აღმოსავლეთით მცხოვრები თათრები შრომისმოყვარე და ინტელექტუალური ხალხია. მათი რიცხვი 2 ½ მილიონია. ისინიც, რუსეთის მიერ შევიწროებულნი, მზად არიან იარაღით ხელში იბრძოლონ მათი რელიგიის მტრების წინააღმდეგ. მაგრამ დამოუკიდებლად მოქმედება, რევოლუციების ორგანიზება, განსაზღვრული პოლიტიკური მიზნების დასახვა და შესრულება მათ კავკასიის სხვა ხალხების დახმარების გარეშე არ შეუძლიათ.

თათრები წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან ძალას, და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის დიდი გამოცდილება გააჩნდათ.

კავკასიის მესამე სეგმენტს შეადგენს მთის მუსულმანი მოსახლეობა. ისევე როგორც

თათრებს, მათაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად კავკასიის პოლიტიკის მართვა.

მაშინ, როდესაც თათრებს საკუთარი სალიტერატურო ენა და პრესა აქვთ, ჩერქეზებს, ლეკებს, ჩეჩნებს მსგავსი არაფერი გააჩნიათ. ამ ხალხებს შორის, ოსეთი იყო ერთადერთი, რომელიც ცდილობდა ეროვნული ლიტერატურისა და დამწერლობის შექმნას, და გასაკვირი არ არის, რომ ისიც რუსული ანბანის მსგავსია. ბოლო წლების განმავლობაში ეს იყო ერთადერთი წინ გადადგმული ნაბიჯი, რისი გაკეთებაც მათ შეძლეს. მათ ჰქონდათ ასევე ლიტერატურული ნაწარმოების შექმნის მცდელობაც, რასაც დიდი წარმატება არ მოჰყოლია.

კავკასიის მოსახლეობას შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი ლეკები გახლავთ. მათი რიცხვი დაახლოებით 500 000 შეადგენს და მათ საცხოვრებელ ტერიტორიას, რომელიც გადაჭიმულია კავკასიის აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთით, კასპიის ზღვამდე, დაღესტანი ჰქვია.

უფრო ადრე კავკასიის მთის ხალხებს შორის ყველაზე დიდ ტერიტორიას ჩერქეზები ფლობდნენ. მათ ეჭირათ კავკასიის მთიანეთის დასავლეთ ნაწილი შავ ზღვამდე, ასევე სანაპირო ზოლი აფხაზეთის დასავლეთ სანაპიროდან ნოვოროსიისკამდე. მაგრამ რუსებმა ეს ხალხი

გაანადგურეს. ხალხი, რომელიც თავისი სილამაზითა და სიმამაცით იყო განთქმული. 1864 წელს 500 000 ჩერქეზი აიძულეს საცხოვრებელი ადგილი დაეტოვებინათ და ოსმალეთის სხვადასხვა ტერიტორიაზე დასახლებულიყვნენ. დღეს ამ ხალხისაგან დაახლოებით 40-50 ათასი არის დარჩენილი კავკასიაში. კავკასიის სხვა ხალხები, მაგალითად ჩეჩნები, ინგუშები, ყაბარდოელები არც კულტურით და არც მრავალრიცხოვნობით არ გამოირჩეოდნენ. ვერც წარსულით, ვერც თანამედროვე კულტურული მდგომარეობით, მათ ვერ ექნებათ პრეტენზია იყვნენ კავკასიის განმათავისუფლებლები ან მომავალი პოლიტიკური ცხოვრების დამგეგმავები.

რისი გაკეთებაც მათ შეძლეს, ეს იყო გაერთიანება და რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში კავკასიის საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. რუსეთის სიძულვილმა გააერთიანა და ააღებინა ხელში იარაღი კავკასიის მუსულმანურ მოსახლეობას. შამილის სული კავკასიის მთებში ჯერ კიდევ არ ჩამქრალა.

რაც კავკასიის მთავარი ელემენტებიდან მეოთხეს, კერძოდ, სომხებს ეხება, რთულია მასზე საუბარი, რადგან სიმართლე, რომელიც უნდა ითქვას, შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც სომხეთის წინააღმდეგ მტრულად

მიმართული მანიფესტაცია. მართალია, რომ სომხებს მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში არაერთი განსაცდელი გადაუტანიათ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათ სხვის სასარგებლოდ თავიანთი პოლიტიკური დამოუკიდებლობა დათმეს. სიმართლეა ისიც, რომ ისინი იძულებულები იყვნენ ორმაგი თამაში ეთამაშად რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რადგან ისინი ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრობენ. ჭეშმარიტებაა ისიც, რომ სომეხი ხალხი არის შრომისმოყვარე. კარგად გამოსდით ვაჭრობა და მრავალმხრივ განვითარებულნი არიან. ამ გადმოსახედიდან, ისინი ჩვენს ყურადღებასა და სიმპათიას იმსახურებენ, მაგრამ ეს სიმართლის მხოლოდ ერთი მხარეა და მარტო ამის გათვალისწინება არ არის საკმარისი, როდესაც საუბარი ეხება ისეთი დიდი რეგიონის ბედს, როგორიც კავკასიაა. მნიშვნელოვანია სომხეთის როლი ამ რეგიონის ბედისა და მომავლის გადაწყვეტის საქმეში.

ასეთ შემთხვევაში სიმართლე უნდა ითქვას და სიმართლის თქმას ზოგჯერ არასასიამოვნო მხარეც აქვს. კავკასიის სომხები დაახლოებით ერთ მილიონს შეადგენენ და მათ არ აქვთ კომპაქტური შემოსაზღვრული ტერიტორიები. ისინი გაბნეულნი არიან მთელს კავკასიაში. გამონაკლისია კავკასიის სამხრეთით ერთი პა-

ტარა რეგიონი, რომელიც მათი ისტორიული სამშობლოა. კავკასიის სხვა უძველეს ხალხებს შორის ისინი უცხო ელემენტებად რჩებიან. საქართველოს ტერიტორიაზე 200 000 სომეხი ცხოვრობს. მათი უმრავლესობა აღმოსავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით თბილისშია დასახლებული. ქართულ პროვინციაში, ჯავახეთში, სოფლის მოსახლეობის უმრავლესობასაც კი სომხები წარმოადგენდნენ და ესეც რუსული პოლიტიკის წყალობით. რუსებმა მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოში შექმნეს სომხური კოლონია, სადაც დაასახლეს სომხების ის ნაწილი, რომლებმაც თურქებთან ომის დროს თავი გამოიჩინეს.[1] სომხეთის დანარჩენი ნაწილი კი შერეულია თათარ მოსახლეობასთან, და ის უმრავლესობას არსად წარმოადგენს, ისტორიულ სომხურ პროვინციაშიც კი, რომელიც ერევნის გუბერნიაში მდებარეობს და სადაც სომხების რაოდენობა უმნიშვნელოდ აღემატება მუსულმანურ მოსახლეობას. სომხური მოსახლეობა კავკასიის დანარჩენ ხალხებთან შედარებით მცირეა.

1. სომხური დასახლებები სამცხე-ჯავახეთში აღმოცენდა რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის შემდეგ, როდესაც კავკასიის მთავარმართებლის, გრაფ ი. პასკევიჩის მეთაურობით, 30 ათასი სომეხი ოსმალეთიდან გადმოასახლეს და ამ ტერიტორიაზე დაამკვიდრეს, **რედ.**

ისიც სიმართლეა, რომ სხვადასხვა ქალაქში და განსაკუთრებით თბილისში სომეხი მოსახლეობის რიცხვი საკმაოდ მაღალია. მათი მდგომარეობა ძალიან ჰგავს პოლონეთში, ვარშავაში მცხოვრები ებრაელების მდგომარეობას. ამაზე ისინი ხმამაღლა არ საუბრობდნენ. მაგრამ ეს სიტუაცია მათ არ აძლევთ ავტონომიის მოთხოვნის უფლებას. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მათ გაუღვივდათ შური კავკასიაში მოსახლე სხვა ერების მიმართ, განსაკუთრებით ქართველების, რომლებსაც ყველანაირი პირობა აქვთ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირებისა.

სომხების ძირითად საქმიანობას ვაჭრობა და მევახშეობა წარმოადგენს, რითიც ისინი ექსპლუატაციას უწევენ და ავიწროვებენ კავკასიის მოსახლეობას. დიდი ინდუსტრიული კაპიტალი სომხებს ნაკლებად ეკუთვნის, მათი ძირითადი ნაწილი ევროპელი მესაკუთრეების ხელშია.

ზოგჯერ სომეხთა სიმპათია რუსეთის მთავრობის მიმართ დიდ აგრესიას იწვევდა დანარჩენ კავკასიელებში. რადგან ისინი მცირე ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ და უმცირესობას წარმოადგენდნენ, არ ჰქონდათ ავტონომიის მოთხოვნის უფლება. ამიტომ სომხები ერთი მხრივ კმაყოფილდებოდნენ იმით, რასაც რუსეთი სთავაზობდა. მაგალითად, როცა 1904

წელს რუსეთმა სომხურ ეკლესიას ქონება ჩამოართვა, მაგრამ ხალხისა და სასულიერო პირების პროტესტის შემდეგ კვლავ დაუბრუნა. მეორეს მხრივ, ისინი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდნენ სხვა ხალხების ავტონომიისკენ სწრაფვას, განსაკუთრებით კი ქართველებისას, რადგან სომხები უპირატესობას რუსულ რეჟიმს ანიჭებდნენ, რომელიც მათ შესაძლებლობას აძლევს იმ ხალხის ექსპლუატაცია გასწიოს, ვისთან ერთადაც ცხოვრობს.

მათი ხმამაღალი განაცხადი ევროპაში, რომ ისინი კავკასიის ცივილიზებულ ელემენტს წარმოადგენენ, არსებულ ფაქტებს არ ემთხვევა. ეს უთუოდ იცის ნებისმიერმა, ვინც გარკვეულწილად კავკასიის თემით არის დაკავებული. უცხოელ ვაჭარს არ შეუძლია ცივილიზებული როლი ითამაშოს იმ ერში, რომელსაც მეტად განვითარებული კულტურა გააჩნია. კავკასიის სხვა ხალხებსაც ჰყავდათ თავიანთი საკუთარი ვაჭრები და მევახშეები, მაგრამ მათ შორის საუკეთესონი საკმაოდ მცირერიცხოვანი ევროპელები იყვნენ.

უბრალო სომეხი მშრომელის, ქალაქელისა თუ სოფლელის, კულტურული და ეკონომიკური მდგომარეობა ნაკლებ სტაბილური იყო, ვიდრე მაგალითად ქართველებისა. რაც შეეხება ახალ სომხურ ლიტერატურას, რომელიც მე-19 საუკუნეში კავკასიური დიალექტებისგან

წარმოიშვა, ძნელად თუ შეედრებოდა ახალ ქართულ ლიტერატურას, რომელიც პირველივე საუკუნეებში შექმნილი ძველი ქართული ლიტერატურის ორგანულ განვითარებას წარმოადგენდა.

რუსეთი, რა თქმა უნდა, ცდილობს სომხების დასაქმებას, რათა კავკასიაში ეროვნული მოძრაობა პარალიზებული გახადოს. რუსეთის მთავრობასა და სომხებს შორის ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. წარსულში რუსები ამას თურქების წინააღმდეგ იყენებდნენ, ახლა კი რუსეთი მათ გამოყენებას არა მარტო თურქების, არამედ ქართველებისა და კავკასიის ხალხების წინააღმდეგაც შეეცდება. 1904-1905 წლის რევოლუციაში[1] სომხებს მონაწილეობა არ მიუღიათ, თუმცა ისინი მთელ მსოფლიოში ავრცელებდნენ ხმას, რომ იყვნენ ამ რევოლუციის ლიდერები. ამავდროულად, უნდოდათ ქართველებისთვის თავიანთი მხარდაჭერა გამოეხატათ, მაგრამ ეს მხარდაჭერა გამოიხატებოდა და შემოიფარგლებოდა მხოლოდ ბაქოსა და თბილისში მათი შეიარაღებული ბანდების პომპეზური აღლუმებით.

რუსეთმა მოაწყო სომხებისა და თათრების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა ბაქოში, ელიზავეტოპოლსა და თბილისშიც, და ამ ძმათა შორის

1. უნდა იყოს 1905-1907 წლების, **რედ.**

ომში ყურადღება გამახვილებული იყო სომხებზე. სომხებს ჰქონდათ იმის გამოცდილება, რომ ასეთი ხოცვა-ჟლეტისთვის რევოლუცია ეწოდებინათ, მაგრამ ამ მოვლენას არ შეიძლება ეწოდოს რევოლუცია. ქართველი რევოლუციონერების ჩარევით ამ სისხლისღვრას წერტილი დაესვა. მოგვიანებით, როცა ქართული რევოლუციური პარტიები არჩევანის წინაშე იდგნენ, გაეგრძელებინათ თუ არა მთავრობის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური აქციები, სომხურმა პარტიამ ისინი გასაჭირში მიატოვა, რაც იმით ახნა, რომ რუსეთი მისი საქმიანობის სფეროს არ წარმოადგენდა. მათ ჩამოაყალიბეს პარტია, რომელსაც სოციალისტური დაარქვეს, საქართველოში, რუსეთსა და ევროპაშიც კი დაიწყეს პარტიის მუშაობის ერთობლივი პროგრამის ჩამოყალიბება.

საბედნიეროდ, მალე ყველა მიხვდა, რომ სომხური სოციალიზმი იყო მხოლოდ თამაში და არასასიამოვნო თამაში. არავინ აღიარებს დღეს სომხურ პარტიას (დაშნაკები), როგორც სოციალისტურს. ისინი თვითონაც აღარ უწოდებდნენ საკუთარ თავს სოციალისტებს. კავკასიაში სომხების ეკონომიკურმა ურთიერთობებმა, ეროვნულმა ეგოიზმმა, რომელიც ხელს უშლიდა მათ სხვა ხალხების პოლიტიკური უფლებების აღიარებაში და კავშირმა რუსულ იმპერი-

ალიზმთან, კავკასიაში მცხოვრები სხვა ხალხები არაკეთილგანწყობილი გახადა მათ მიმართ.

ამ ბრძოლაში სომხების მხრიდან კიდევ ერთხელ იჩინა თავი ღალატმა, მაგრამ კავკასიის განთავისუფლებაში სომხეთის როლი საკმაოდ დიდია. ეს არის მიზეზი, რის გამოც სომხეთი განიხილება, როგორც კავკასიის მოსახლეობის მეოთხე ელემენტი.

რასაკვირველია, ყველაფერ იმაზე, რაზეც საუბარი გვქონდა, არ შეგვიძლია პასუხისმგებლობა დავაკისროთ მთელ სომხურ მოსახლეობას. არსებობს ძლიერი სომხური ფრთა, რომელიც განსხვავებულად ფიქრობს, მზად არის აღიაროს მეზობელი ქვეყნების დამოუკიდებლობა, მათთან ერთად იბრძოლოს კავკასიის განთავისუფლებისათვის. მათ კარგად ესმით, რომ სომხეთის ტერიტორიული ავტონომია შეუძლებელია, და, რომ მთელ კავკასიაში ვერ მოიძებნება ხალხი, რომელიც თავის მხრივ სომხეთის დამოუკიდებლობას აღიარებს. ამიტომ მათ ურჩევნიათ ქართველებთან და თათრებთან ერთად შეთანხმებულად იმუშაონ და მათი პოლიტიკური არგუმენტების ლეგიტიმურობა აღიარონ.

რა რეჟიმიც არ უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელ კავკასიაში, სომხების სარწმუნოება, ენა, საკუთრება და ეროვნული კულტურა დაფასე-

ბული უნდა ყოფილიყო. ეს იცის ყველა მოაზროვნე სომეხმა. და მათზე დაყრდნობით უნდა გაუქმდეს რუსული დესპოტიზმი კავკასიაში.

IV

ეს ის ეროვნებებია, რომელთან ერთადაც უნდა იმუშაონ თურქებმა, თუ სურთ რუსეთის განდევნა კავკასიიდან და მათზე საბოლოო გამარჯვების მოპოვება. ქართველებთან კავშირი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მიზნის მისაღწევად. მათი დახმარების გარეშე თურქები ვერ შეძლებენ კავკასიის ფლობას. როგორც კი ქართველები გააქტიურდებიან, თათრებიც და მთის დანარჩენი მოსახლეობაც გვერდით დაუდგება მათ.

თუ ქართველები, თათრები, მთის მოსახლეობა და სომხები გაერთიანდებიან, ისინი შეძლებენ მნიშვნელოვანი ძალის შექმნას, რომელიც რუსეთს დიდ საფიქრალს გაუჩენს. ეს გაერთიანება ოსმალეთის შეიარაღებული ძალების დახმარებით შეძლებს რუსული არმიის დამარცხებას. კავკასიის სხვა ხალხების დახმარების გარეშე, თურქების მცდელობა, დაიპყროს კავკასია, უშედეგო იქნება. და, თუ რა შედეგი ექნება თურქეთის მარცხს ორივე მუსულმანური სახელმწიფოსთვის (ოსმალეთისა და სპარსეთისათვის), ადვილად წარმოსადგე-

ნია. ნათელია, რომ რუსეთი ადვილად შეძლებს სპარსეთისა და ოსმალეთის სრულ განადგურებას, თუ მას მიეცემა შესაძლებლობა კიდევ რამდენიმე ათწლეული იბატონოს კავკასიაში.

ქართველები თურქებისა და სპარსელების გამუდმებული შემოსევების გამო იძულებულები იყვნენ დასახმარებლად თვით რუსეთისთვის მიემართათ. მხოლოდ ამ გზით შეძლო რუსეთის იმპერიამ აღმოსავლეთში ფეხის მოკიდება. თუ ეს ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდება, ეჭვგარეშეა, რომ თურქეთი სომხურ პროვინციებსა და ჩრდილოეთით მთელ მცირე აზიას დაკარგავს, სპარსეთი კი აზერბაიჯანს. სპარსეთის ოკუპაციას კი ინგლისელები და რუსები მოახდენენ. კავკასია კვლავ რუსული ბატონობის ქვეშ დარჩება. რუსული კოლონიები უფრო წარმატებულად განვითარდება, ვიდრე ადრე. კავკასიის ქრისტიანი ხალხის გარუსებას და მუსულმანების განადგურებას რუსეთის მრავაწლიანი ბატონობა მოჰყვება, რაც გამოიწვევს ამ ხალხის ისტორიისა და ეროვნულობის დაკარგვას. ამ საშინელი შედეგის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა, რომ კავკასიელები, თურქები და სპარსელები გაერთიანდნენ და ერთად იბრძოლონ რუსეთის მზაკვრული მიზნის წინააღმდეგ.

მაგრამ მიზნის მისაღწევად საჭიროა, თითოეულმა ხალხმა იმოქმედოს მეზობელ ხალ-

ხებთან შეთანხმებით. ამ ომში არ არის საუბარი ტერიტორიების დაპყრობაზე, პრეტენზიების დაკმაყოფილებაზე, რომლებიც ომის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში წინა პლანზე წამოიწევს ხოლმე. ომის დასასრულის ასეთი ხედვა ბარბაროსული და მოძველებულია. ის ყოველთვის გამარჯვებული მხარის საბოლოო მარცხით მთავრდებოდა. ყველაფერი უნდა მიისწრაფვოდეს იმ მიზნის სრულყოფისკენ, რის გამოც ომი დაწყო.

თუ ეს გამარჯვება გარანტირებული მშვიდობით არ დაგვირგვინდებოდა, ამ ბრძოლის სათავეში მდგომი პოლიტიკოსი წარმატებული ვერ იქნებოდა. მას არც გადაწყვეტილების მიღებისა და არც შეფასების შესაძლებლობა ექნებოდა. რადგანაც საუბარია სხვადასხვა ხალხთა ურთიერთთანამშრომლობაზე, რომელთაც ერთი საერთო მიზანი აქვთ, კერძოდ, დაიხსნან თავი უცხო ქვეყნის მონობისაგან, ამიტომ მათ მიერ გაღებულ მსხვერპლს პატივი უნდა მივაგოთ და ერთი ქვეყნის ბატონობა, მეორე ქვეყნის ბატონობით არ უნდა ჩავანაცვლოთ. ისინი მოითხოვენ თავიანთ უფლებებს და ამ უფლებების დასაცავად უკავშირდებიან თავიანთი დამპყრობლების მტრებს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დაჩაგრული ხალხი მხოლოდ ლამაზი თვალების გამო არ აწყობს რევოლუციებს. თურქებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ

კავკასიის პრობლემის მოგვარების გასაღები მხოლოდ კავკასიის ხალხის გაერთიანებაშია. სხვა შემთხვევაში ისინი კავკასიის დახმარებას ვერ მიიღებენ და არც კავკასიის დაპყრობის იმედი უნდა იქონიონ. თუ ისინი ამ ქვეყნის დაპყობას მოინდომებენ, მეორე დღიდანვე ან რუსეთის ან თვითონ კავკასიელების მიერ იქნებიან გაძევებულნი, რომლებიც ამისთვის პირველივე შესაძლებლობას გამოიყენებენ.

პრობლემა, თუ როგორ უნდა იმართოს მომავალში კავკასია, ძალიან დიდია. ყველა სახელმწიფოს მიზანი, დაეპყრო კავკასია ან მისი პროვინიციები და იქ თავისი ბატონობას დაემყარებინა, თავიდანვე განწირული იყო. თუნდაც მაკედონიის მაგალითი, რომელიც თურქებისთვის ჭკუის სასწავლებელი უნდა ყოფილიყო. ოსმალეთის მთავრობას არ შეეძლო ამ მიწაზე ფეხის მოკიდება, რადგან მას ყოველთვის ხელს უშლიდა სხვადასხვა სახალხო დაჯგუფება თავიანთი აჯანყებებით. მშვიდობის დამყარება მოხერხდა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ყველა ეროვნებას თავისი უფლებები აღუდგა. მაკედონიის რევოლუცია იმდენ ხანს გაგრძელდა, სანამ ყველა ერმა საკუთარი უფლებები არ აღიდგინა.

მსგავსი მიზეზის გამო რუსეთი კავკასიაში მშვიდობის დამყარებას ვერასოდეს შეძლებდა. კავკასიური პრობლემა გაცილებით რთული

იყო, ვიდრე მაკედონიისა. რუსული მართვის სისტემაც თურქებისას არაფრით ჩამორჩებოდა. ასე რომ, კავკასიის ამ ურთულესი პრობლემის მოგვარებას ოსმალეთი აუცილებლად შეძლებს, თუკი ის ამ რეგიონში ფეხის მოკიდებას მოახერხებს.

კავკასიელებში, რომლებსაც ამ დროსაც კი შულლი ჰქონდათ ერთმანეთთან, რუსები ისეთ ელემენტებს ეძებდნენ, რომლებსაც ოსმალეთის ბატონობას რუსეთის ბატონობა ერჩივნათ. საბოლოოდ მაინც რუსეთმა გახსნა თავისი ბატონობის კარი ამიერკავკასიაში. და ეს იქნებოდა ალბათ უკვე სამუდამო. ეს იყო დიდი უბედურება არა მარტო კავკასიისთვის, არამედ ოსმალეთის, სპარსეთისა და ალბათ მთელი ევროპისთვის. რუსეთი, რომელსაც დამორჩილებული ჰყავდა კავკასია და გაბატონებული იყო შავ ზღვაზე - საბოლოოდ ბოსფორსა და დარდანელსაც ხელში ჩაიგდებდა და შეძლებდა თავისი ფლოტის ხმელთაშუა ზღვაში შეყვანას.

ოსმალეთის მიერ კავკასიის ძალადობრივ დამორჩილებას აღმოსავლეთისა და დასავლეთისთვის საშინელი შედეგი ექნება. ეს იქნება მუდმივი ომების მიზეზი. თურქებმა ეს აზრი უნდა გააცნობიერონ და კავკასიის ხალხებს თანადგომა გამოუცხადონ, რათა დამოუკიდებელი და ნეიტრალური კავკასია შექმნან. ეს

არის კავკასიის პრობლემის მოგვარების ერთადერთი გასაღები. კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფო, ეს იქნებოდა აღმოსავლეთის მშვიდობის გარანტი, ოსმალეთისა და სპარსეთის დამცველი, და ბოლოსდაბოლოს თავად კავკასიაც მოიპოვებდა საუკუნეების შემდეგ სიმშვიდეს. ეს ყველაფერი კი ამავდროულად ხელს შეუშლიდა რუსეთის იმპერიის სწრაფვას ხმელთაშუა ზღვისა და ევროპის დიდ ნაწილის დაუფლებისკენ.

ეს ნიშნავს აგრეთვე კავკასიის ეკონომიკურ თავისუფლებასაც. ის დღეს იძულებულია რუსული უვარგისი პროდუქცია მაღალ ფასად შეიძინოს. რადგან რუსული საბაჟო სისტემა ევროპულ საქონელს ისე ბეგრავს, რომ მისი შეძენა თითქმის შეუძლებელია. ის ასევე უშლის ხელს ევროპასთან სხვადასხვა სახის ვაჭრობის განვითრებას.

კავკასიური პროდუქტი ევროპაში უფრო დიდი რაოდენობით გადის, ვიდრე რუსეთში. ქართული მარგანეცი ინგლისში, ბელგიასა და საფრანგეთში გააქვთ. მაგრამ რუსული სარკინიგზო ტარიფის წყალობით, ერთი ტონა მარგანეცის ტრანპორტირება, დაახლოებით 100 კმ სიგრძის რკინიგზაზე, უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე იმავე რაოდენობის ტვირთის ჩატანა კალკუტიდან ლონდონამდე. მაგრამ ქართული მარგანეცის ხარისხი იმდენად მაღალია,

რომ მას შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ინდურ, ბრაზილიურ და კუბურ საქონელს მსოფლიო ბაზარზე.

გარდა ამისა, კავკასია სთავაზობს უსაზღვრო სივრცეს ინდუსტრიული კაპიტალისთვის. რუსებს არ შეუძლიათ ევროპული ინდუსტრიის კავკასიაში გამყარება. ბაქოშიც კი ინგლისური კაპიტალია საწვავის გამოშვებით დაკავებული. არამყარი ეკონონიკური მგომარეობა, რომელიც რუსული ბატონობით არის გამოწვეული და რუსული მანკიერი კანონმდებლობა ხელს უშლის ევროპული კაპიტალის კავკასიაში დაბანდებას.

ამ გარემოებებისა და ევროპული კაპიტალის დახმარების გარეშე ბუნებრივი სიმდიდრის იმ მასშტაბით გამოყენება, რაც კავკასიას გააჩნია, შეუძლებელია. ნეიტრალური კავკასია ევროპული საქონლისთვის საუკეთესო გასაღების ბაზარი გახდება და უცხოელი დამპყრობლებისგან გათავისუფლებული მოსახლეობა ევროპული კაპიტალისა და მეცნიერების დახმარებით მსოფლიოს ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა იქნება. აქედან გამომდინარე კი ცივილიზებული სამყარო ახალ ქვეყანას შეიმატებს.

V

გაჩნდა ახალი მნიშვნელოვანი და მძიმე პრობლემა. როგორ უნდა განთავისუფლებულიყო კავკასია რუსული ბატონობისაგან და აღიარებულიყო, როგორც ნეიტრალური ერთეული. იქნებოდა თუ არა შესაძლებელი, მიუხედავად ხალხთა მრავალეროვნებისა, განსხვავებული წეს-ჩვეულებებისა, ისტორიისა და რწმენისა, შექმნილიყო პოლიტიკური სტრუქტურა, რომელიც შეძლებდა თავისი მომავლის ორგანიზებულად დაგეგმვას და კავკასიური თვითშეგნების ჩამოყალიბებას, რომელიც დღემდე არ არსებობდა.

კავკასიის მოსახლეობის რაოდენობა არც თუ ისე დიდია. ბევრად უფრო მრავალფეროვანია მისი ხასიათი და სოციალური ურთიერთობები. ისტორიული წარსული, ჩვევები და ტრადიციები, რელიგია, საკუთრებისადმი დამოკიდებულება, ქალის ადგილი, უფლებებისა და სამართლიანობის გამიჯვნა მოვალეობებისა და პირადი თავისუფლებისაგან, მორალი, საყოველთაო კულტურა, იდეალები და მიზნები, ყველაფერი ეს კავკასიის ხალხებში საფუძვლიანად განსხვავდება. ამიტომ საკმაოდ რთული იქნება ამ ყველაფრის ერთ სისტემაში მოქცევა, ერთი კონსტიტუციის და სამართლის შექმნა.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, კავკასიის ქვეყნებისა და მოსახლეობისთვის საერთო კონსტიტუციის შექმნაზე ფიქრი შეცდომა იქნებოდა. შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციის სტაბილურობა დამოკიდებულია იმ ხალხის თანასწორუფლებიანობასა და სოციალურ ერთიანობაზე, ვინც მას ქმნის. ამის გათვალისწინებით კი კავკასიური კონსტიტუცია მსოფლიოს ყველა კონსტიტუციასთან შედარებით ნაკლებ სტაბილური იქნება.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ეს შესაძლებელია შვეიცარიის მაგალითზე, სადაც სხვადასხვა ეროვნების ხალხთა კანტონებია გაერთიანებული და ერთ მთლიან კონფედერაციულ რესპუბლიკას ქმნიან, რომელიც წარმოუდგენლად სოლიდარული და მყარია. სასურველი იქნებოდა კავკასიაშიც იგივე ყოფილიყო.

მაგრამ მსგავსება კავკასიასა და შვეიცარიას შორის ზედაპირულია. კავკასიაში შვეიცარიისგან განსხვავებული სიტუაციაა. პირველი: სოციალური წყობა და კულტურული მდგომარეობა იქ ერთმანეთის მსგავსია და მეორეც იქ კანტონები ერთბაშად არ ჩამოყალიბებულა. მათ გაერთიანებას საუკუნოვანი ომები დასჭირდა. და ბოლოსდაბოლოს დამოუკიდებელმა კანტონებმა შეძლეს ერთ კავშირში გაერთიანება, რომელშიც თითოეული მათგანი სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებს.

ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ თუ ერთ დღეს კავკასიის მოსახლეობა თბილისში შეიკრიბება კავკასიის ფედერაციის შექმნის თობაზე, რამოდენიმე დღის შემდეგ ისინი კვლავ არ დაიშლებიან, რადგანაც სხვადასხვა ენაზე დაიწყებენ საუბარს. მათი წარსული, ტრადიცია, პრეტენზიები არასოდეს მისცემს მათ გაერთიანების საშუალებას. იმისათვის, რომ მათ ერთმანეთს გაუგონ, საჭიროა, პირველ რიგში, ყველა ჩამოყალიბდეს, თუ რა სურს და პატივი სცეს სხვის უფლებებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროა თითოეულმა ელემენტმა პირველ რიგში საკუთარი პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვოს, შექმნას საკუთარი კონსტიტუცია, რომელიც მის სოციალურ ყოფას შეეფერება და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაიწყონ ფიქრი კავშირის შექმნაზე, სადაც თითოეული შემადგენელი ელემენტის სურვილი იქნება გათვალისწინებული.

როგორ უნდა გაერთიანდეს კავკასია სამართლებრივად, სადაც ქართველებში ქალი ისტორიის დასაბამიდან უპირველესია, დამოუკიდებელი და თავდაჯერებულია, ხოლო თათრებში, ლეკებში და ა.შ. ქალი თითქმის მონაა.

ჩვენი აზრით, გერმანელების, ავსტრიელების და თურქების გამარჯვების შემთხვევაში კავკასიის პრობლემა ასე უნდა გადაიჭრას:

პირველი: თურქეთმა უნდა დათმოს ყარსისა და ერევნის გუბერნიების ნაწილი, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა თურქული წარმოშობისაა.

მეორე: ამიერკავკასიამ უნდა შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი, ისევე როგორც შვეიცარიამ, და ეს ნებისმიერ დროს უნდა იყოს გარანტირებული.

მესამე: ქართველებს უნდა დაუბრუნდეთ ისტორიული ტერიტორიები თავისი საზღვრებით, და უნდა ჩამოაყალიბონ დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამ სახელმწიფოს კონსტიტუცია ეროვნული კრების მიერ უნდა შეიქმნას და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგგ უნდა შევიდეს ძალაში. მუსულმანები, რომლებიც დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ეროვნებით ქართველები არიან და აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. სახელმწიფო მათ სრულ რელიგიურ თავისუფლებას ანიჭებს. სომხებსაც, რომლებსაც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრება სურთ, ექნებათ უფლება ეკლესიის, სკოლების, ენისა და კულტურის შენარჩუნებისა. და ბოლოს, დამოუკიდებელი საქართველოს თითოეული მოქალაქე კანონის წინაშე თანასწორი იქნება თავისი უფლებებით და მოვალეობებით.

მეოთხე: თათრებსა და სომხებს მინიჭებული ექნებათ სამართლებრივი უფლება, ჩამოაყალიბონ სომხურ-თათრული კანტონი.

მეხუთე: მთის მოსახლეობის გაერთიანებას, კანტონი იქნება ეს თუ სახელმწიფო, ფართო დამოუკიდებლობით სარგებლობა შეეძლება. მაგალითად, დაღესტნის მოსახლეობა ნახევარ მილიონს შეადგენს და მათ მიერ დასახლებული ტერიტორიები იმდენად დიდია, შეეძლოთ საკუთარი კონსტიტუცია ჰქონოდათ. მათ არ ჰქონდათ კონფლიქტური სიტუაციები არც მეზობლებთან და არც შორს მცხოვრებ მოსახლეობასთან. წლის უმეტეს ნაწილს ისინი მთაში ატარებდნენ და შეეძლოთ თავიანთი ტრადიციების, წეს-ჩვეულებების მართვა.

ეს იქნებოდა კავკასიის ხალხების ორგანიზაცია. თითოეულს უნდა ჰქონოდა კარგად ჩამოყალიბებული ინდივიდუალიზმი, მათი ტერიტორიები განსაზღვრული და ყველასგან აღიარებული უნდა ყოფილიყო, რომელსაც შემდგომი მოლაპარაკებების დროს გამოიყენებდნენ.

კავკასიის განთავისუფლებით ევროპა საუცხოო ქვეყანას შექმნიდა, რომლის ცნობაც 50-წლიანი თავისუფლების შემდეგ შეუძლებელი იქნებოდა – იმდენად დიდია კავკასიელთა უნარი და ნიჭიერება და იმდენად მდიდარია ეს ქვეყანა ბუნებრივი რესურსებით. გარდა იმისა, რომ მას საოცრად ნაყოფიერი ნიადაგი და მრავალრიცხოვანი პროდუქტი აქვს, კავკასიის მინერალების განსაკუთრებული სიმდიდრე ევ-

როპის კაპიტალს ამოუწურავ შესაძლებლობებს სთავაზობს.

გერმანიას, რომლის დახმარებითაც ჩვენ კაკვასიის გათავისუფლებას ვიმედოვნებთ და რისთვისაც სამარადისოდ მადლიერნი ვიქნებით, თავისი მეცნიერების, ტექნიკის და კაპიტალის მეშვეობით ამ ქვეყანაში აღიარების უზარმაზარი ასპარეზის მოპოვება შეუძლია. ეს ორივე მხარისათვის, როგორც კავკასიელი ხალხისათვის ასევე გერმანიისათვის სასარგებლო იქნება და ამის მეშვეობით შესაძლებელი გახდება დიდი დოვლათის დაგროვება.

ჩვენ მივესალმებით გერმანიას – ფილოსოფოსების, სწავლულთა და პოეტების ქვეყანას, ჩვენს სამშობლოში! თუკი ჩვენ მისი დახმარებით შევძლებთ თავისუფლების მოპოვებას, მაშინ მას ჩვენზე უკეთესი მეგობარი არ ეყოლება – ჩვენ ვიქნებით ნამდვილი მეგობრები, ყოველგვარი თვალთმაქცობის გარეშე, რაც ისედაც ჩვენთვის, ქართველებისათვის არ არის დამახასიათებელი. ჩვენ გვსურს ვისწავლოთ გერმანულად აზროვნება და მუშაობა და ვიმედოვნებთ, რომ უმოკლეს პერიოდში ჩვენი მასწავლებლები იამაყებენ თავიანთი მოსწავლეებით.

დოკუმენტი

ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორის, სააპელაციო სასამართლოს წევრის

ერნესტ ნისსის

წერილობითი ანგარიში

ბრიუსელი
24 ნოემბერი 1906

თქვენი წერილი მივიღე 21 ნოემბერს და ვჩქარობ პასუხის გაცემას. წარმოგიდგენთ ჩემს აზრს დასმულ კითხვებთან დაკავშირებით.

ქართველები ახლა კანონზომიერ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათი ქვეყნის მდგომარეობა რევოლუციურია. ძალადობრივი აქტები, რომლებიც ქვეყანაში ხორციელდება, არის პოლიტიკური ქმედებები, რათა ქართული საქმე გამარჯვებამდე მივიდეს.

რუსეთის მთავრობის ბატონობა საქართველოში გაუმართლებელია, როგორც თავისი პრინციპებით, ასევე ისტორიულად. ის აღმოცენდა სიყალბეზე და საუკუნეების განმავლობაში იყენებდა თავის საშინელ და ტირანულ მეთოდებს.

1783 წელს, როდესაც რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე მეორემ ყირიმის დაპყ-

რობით საზღვაო გზა შავ ზღვამდე მოიპოვა, გაიძლიერა თავისი მმართველობა აზიაში. ამ გზით მას საქართველოს სამეფოს დაცვა უნდა ეთავა.

1783 წლის 24 ივლისს რუსეთის იმპერატორსა და ერეკლე მეორეს შორის გაფორმდა ხელშეკრულება. ეს იყო მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც საქართველოს კანონისათვის პატივისცემას გამოხატავდა. ამ ხელშეკრულების თანახმად, მანამდე სპარსეთის შაჰზე დამოკიდებული ერეკლე მეორე აღარ უნდა ყოფილიყო ვინმეს ვასალი, არამედ, როგორც ქრისტიანი და რუსეთის მოკავშირე, უნდა წოდებულიყო საქართველოს მეფედ. რუსეთი არამარტო მას უმტკიცებდა ამ წოდებას და რანგს, არამედ მთელს მის შთამომავლობას, განუსაზღვრელი ვადით. ერეკლე მეორის სიკვდილის შემდეგ, მისი მემკვიდრე მისი უფროსი ვაჟი იქნებოდა. ქართველ მეფეს პეტერბურგში ეყოლებოდა თავისი წარმომადგენლობა, ხოლო რუსეთი თავისი წარმომადგენლის საქართველოში ყოლას საჭიროდ არ მიიჩნევდა.[1] ყველანაირი გადასახადი და

1. ეს თვალსაზრისი სწორი არ არის. ტრაქტატის მეხუთე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ორივე მხარეს ერთმანეთის სამეფო კარზე უნდა დაენიშნა თავისი წარმომადგენელი რეზიდენტი ანუ მინისტრი. **რედ.**

შემოსავალი რჩებოდა ქვეყნის მეფეს და რუსეთს არანაირი უფლება არ ჰქონდა ამაზე.

მაღალი რანგის მოხელეების დანიშვნა, როგორიც იყო მაგალითად არმიის მეთაური, რუსეთის მთავრობისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს მხოლოდ ფორმალური მხარე იყო და რუსეთს არავითარი უფლება არ ჰქონდა საქართველოს მხარის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლისა. მას არ ჰქონდა აგრეთვე ქართული ეკლესიის საქმეში ჩარევის უფლება. და ბოლოს, ორივე ქვეყნის ვაჭრებს თანაბარი უფლებებით უნდა ესარგებლათ.

1798 წელს გარდაიცვალა ერეკლე მეორე. მისი მემკვიდრე გიორგი მეთორმეტე სუსტი მმართველი აღმოჩნდა. რუსეთმა საქართველოში არსებული მდგომარეობა ახალი ხელშეკრულების გასაფორმებლად გამოიყენა. ეს ხელშეკრულება 1799 წლის 23 ნოემბრით თარიღდება. ამჯერად რუსეთის იმპერატორმა პავლე პირველმა გააუქმა საქართველოს მეფის ტიტული. გიორგი მეთორმეტე, მეფის მემკვიდრე, საქართველოს მმართველი უნდა გამხდარიყო და ეს გადავიდოდა შთამომავლობით.

6000-კაციანი რუსული ჯარი იდგებოდა საქართველოში ქართული იარაღით აღჭურვილი.

1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა გიორგი მეთორმეტე. მისი ვაჟი დავითი გახ-

და რეალური მმართველი და სამეფო ტახტის მემკვიდრე. დადებული ხელშეკრულების განხორციელება ვერ მოხერხდა. ასე რომ, ამაზე საუბრის გაგრძელება არც ღირს. 1801 წლის 28 იანვრის მანიფესტით იმპერატორმა პავლე პირველმა საქართველოს სამეფო რუსეთის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა.

1801 წლის 11 მარტს გარდაიცვალა პავლე პირველი. 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის წყალობით ალექსანდრე პირველმა ადვილად მიუერთა საქართველო თავის სამეფოს.

სიყალბე, თვალთმაქცობა, გამყიდველობა — ეს იყო ის სამართლებრივი საფუძველი, რომლითაც რუსეთის მთავრობამ ერთგულება გამოხატა საქართველოს მიმართ. სიმართლეა, რომ რუსული ბატონობა საქართველოში 100 წელს გრძელდება. ეს ზეწოლა გულისამრევი და მომაკვდინებელი იყო ქართული ეროვნულობისთვის. რუსული რეჟიმი ქართული ენისა და კულტურის დაუძინებელ მტრად იქცა. სკოლები და განათლება მოიშლა. ყოველგავრი უფლებების გარეშე იმ ადამიანებს, რომლებიც იძულებულები იყვნენ თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობა შეესრულებინათ, ასახლებდნენ შორეულ პროვინციებში. მათი დამცირებისთვის ყველა ხერხი იყო გამოყენებული. პატრიოტებს

სიკვდილს უსჯიდნენ და ციხეებში სვამდნენ. ზედამხედველები პატიმრებს საშინლად აწამებდნენ. ამ ყველაფრის შემდეგ ვინ გაბედავდა იმის თქმას, რომ რევოლუცია და აჯანყება სხვა არაფერი იყო, თუ არა მოვალეობა.

რადგან აქ საუბარია ექსტრადიციაზე, ნება მომეცით მიგითითოთ იმ პრინციპებზე, რომელიც იმ სამართლებრივი დახმარების აქტისათვის მოქმედებს და გთხოვოთ ამის შესახებ წაიკითხოთ გვერდი 255. თქვენ აქ ნახავთ, თუ რა არის ამ შემთხვევაში ის ჭეშმარიტი პრინციპები და ამავდროულად შენიშნავთ, თუ როგორ ცდილობდა რუსეთი ამ სამართლებრივი დებულების უარყოფას და დასავლეთში საკუთარი ბარბაროსული წერის დამკვიდრებას.

.... ხელმოწერა.

თვალსაჩინო ქართველი
პოლიტიკური მოღვაწის
მიხეილ (მიხაკო) წერეთლის
წიგნი „საქართველო და
მსოფლიო ომი" პირველად
1915 წელს გამოიცა
გერმანიაში. წიგნში არ
ყოფილა აღნიშნული ავტორის
ვინაობა და გარეკანზეც
მისი გვარის ნაცვლად სამი
ვარსკვლავი იყო დასმული.
1915-1916 წლებში წიგნი
ფრანგულ, ინგლისურ და
ესპანურ ენებზეც ითარგმნა.
ქართულ ენაზე მიხაკო
წერეთლის ეს ცნობილი
ნაშრომი პირველად გამოდის.

ISBN 978-9941-0-6607-8